ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

## „ისლამური სახელმწიფო საქართველოზე ხელს არ აღმართავს“

თურქეთი ფიქრობს, რომ სირია ოსმალეთის იმპერიის ნაწილია და ის ტერიტორია, სადაც რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდეს, მისი საკუთრებაა


გვ.2

პარასკევი, 27 ნოემბერი, 2015 №279 (6899) ფასი: 50 თეთრი

# გიორგი ვაშაძე: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება საქართველოსთვის სახიფათოა“


გვ.3

„ჭორვილური პოლიტიკით შეიძლება ნეგატიური შედეგი მივიღოთ“



## რუსეთი თურქეთთან სავაჭრო ომს იწყებს

გვ.5


გვ.5

## არჩილ გამზარდია: „რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება არ სჭირდება“

„ჩვენ ნეიტრალიტეტი უნდა დავიცვათ“


გვ.2

## რა სთხოვა პაატა ბურჭულაძემ მიხეილ სააკაშვილს

## „ირაკლი შოთაძე ხელისუფლებასა და ნაციონალებს შორის გარიგების ნაწილია“


გვ.4


გვ.5

## „ერთი კაცის „პახმელიაზე“ თანამდებობის პირების დანიშვნა უნდა შეწყდეს!“

## მოსამართლემ დათო ტურაშვილი და ირმა ჭკადუა დარბაზიდან გააძევა


გვ.3


გვ.6

## შოთა გულბანი: „მიკროსაფინანსო სექტორმა საქართველოში სწორი ნიშა გამონახა“


გვ.6

## სერგეენკო: „მედიკამენტებზე განვადება არ დაგჭირდებათ“

მინისტრი მოსახლეობას წამლების გაიაფებას კიდევ ერთხელ ჰპირდება

ISSN 1987-9385

## გიორგი მღებრიშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა


გვ.7

# „ისლამური სახელმწიფო საქართველოზე ხელს არ აღმართავს“

## ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს აძლევს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ მოხვდა ისლამური სახელმწიფოს მტერი ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო, რა გამოწვევები დგება ქვეყნის წინაშე, რა სარგებლობის მიღება შეუძლია საქართველოს რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებით? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.



**ზაალ კასრელიშვილი:**

– რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში განვაცხადეთ, რომ სირიის თემაზე რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ. სამწუხაროდ, ჩვენი პროგნოზი გამართლდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მალე კონფლიქტური სიტუაცია წარმოიშობა ირანთანაც. თეირანსა და მოსკოვს შორისაც გამწვავდება ურთიერთობა. რაც შეეხება რუსეთსა და თურქეთს, ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ. ორივე მათგანს იმპერიული წარსული აქვს და ორივეს ძველი იმპერიული გავლენების აღდგენის ამბიცია აწუხებს. ორივე ქვეყანას გააჩნია კარგი შეიარაღება და, რაც მთავარია, აქვთ ერთმანეთთან ომის გამოცდილება.

ამ ომებმა დაანგრია როგორც რუსეთის, ასევე ოსმალეთის იმპერიები და თან მაშინდელი მსოფლიოს 2 იმპერიაც მიიყოლა. ამ ეტაპზე მათ შორის საომარ მოქმედებებს გამოვრიცხავთ.

***– ძველი მწარე გამოცდილების გამო შეიკავებენ ომისგან თავს?***

– საამისოდ ორივე მხარეს ბევრი მიზეზი აქვს. დავიწყებ რუსეთით. მას კონფლიქტი აქვს კავკასიელებთან, საომარ მდგომარეობაშია უკრაინასთან, ებრძვის ისლამურ სახელმწიფოს და თურქეთთან მეოთხე ფრონტის გახსნა ამ ეტაპზე არანაირად არ აწყობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ ემუქრება.

**თურქეთი ფიქრობს, რომ სირია ოსმალეთის იმპერიის ნაწილია და ის ტერიტორია, სადაც რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდეს, მისი საკუთრებაა**

თურქეთს ომი აქვს ქურთებთან, ებრძვის ისლამურ სახელმწიფოს, სერიოზული პრობლემები აქვს ოპოზიციასთან, რომელიც ძალიან ძლიერია, მის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ ემუქრება. აქედან გამომდინარე, ის რუსეთს იარაღით არ დაუპირისპირდება, თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ის ნატოს წევრი ქვეყანაა და მას დამოუკიდებლად ომის დაწყების უფლება არ აქვს.



***– თქვენ აღნიშნეთ, რომ მოსკოვიც და ანკარაც ებრძვიან ისლამურ სახელმწიფოს. რუსი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ თურქეთი დგას ისლამისტების უკან, ჩეჩნეთის ყოფილი ვიცეპრემიერი ახმედ ზაკაევი კი ამტკიცებს, რომ ხალიფატი კაგებემ შექმნა. ამაზე რას იტყვით?***

– ისლამურ სახელმწიფოს რუსეთიც და თურქეთიც აფიშირებულად ებრძვიან. ეს არის მოტივაცია. სინამდვილეში რუსეთი სირიაში თავისი გავლენების დასაცავად იბრძვის. ახლო აღმოსავლეთში მოსკოვს მხოლოდ სირიაში დარჩა სამხედრო ბაზა. ამ ტერიტორიის შენარჩუნება სურს ბაშარ ალ ასადის ხელით. როგორც კი ამ ტერიტორიას თურქეთი ან ირანი დაეპატრონება, რუსეთს ასადი აღარ დასჭირდება და აღარც ხალიფატის პრობლემა იქნება.

თურქეთი თვლის, რომ სირია ოსმალეთის იმპერიის ნაწილია და ის ტერიტორია, სადაც რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდეს, არის მისი საკუთრება. ასევე გავლენის სფეროებისთვის იბრძვის ირანი, ისიც თვლის, რომ სირიის გარკვეული ნაწილი მისი ისტორიული ნაწილი. იქ დღეს შიიტი სპარსელები ცხოვრობენ.

ამ ბაქქანალიის მთელი ფილოსოფია გეოგრაფიული ტერიტორიების დასაკუთრების მისწრაფება გახლავთ. აქედან გამომდინარე, ამ ფრონტზე სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება.

***– საქართველოს რა საფრთხეები ელის ამ დაპირისპირებიდან?***

– არის ასეთი ქართული გამოთქმა: ძროხა წაკლეს, ზედ დამაკლეს, ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლესო. ჩვენს ქვეყანას სწორედ ეს უბედურება სჭირს. ყარსის ხელშეკრულებიდან 100 წელი სრულდება. მაშინდელმა რუსეთ-თურქეთის ომმა საქართველო დაანგრია. იმ დროს ჩვენ რუსეთის იმპერიის მიერ ვიყავით დაპყრობილი და რუსეთის იმპერიამ ზავის დროს ძირძველი ტერიტორიები ძალიან იოლად დაუთმო თურქეთს.

დღევანდელ ვითარებაში, უფლის წყალობით, პროცესები ჩვენ სასარგებლოდ მიდის. ახლა საკითხავი ისაა, როგორ გამოიყენებს ამას დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა და მოსახლეობა. ახლა ვნახავთ, არის თუ არა ხელისუფლება მზად დიდი თამაშის სათამაშოდ. აქვს თუ არა უახლოესი 10 წლის სამოქმედო გეგმა, ეს დაპირისპირება მინიმუმ 10 წელი გაგრძელდება.

დროის ამ მონაკვეთში დამოუკიდებლობაც უნდა შევინარჩუნოთ, გავლენებიც გავზარდოთ და ორივე ქვეყანა ღირსეული საქციელით ვაიძულოთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარი თქვან.

***– ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება რეალურად შეიძლება თუ ეს თქვენი სურვილია?***

– შეიძლება და მერე როგორ. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში საქართველოს ასეთი შანსი არ ჰქონია. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ჩვენ შეიძლება, პოლიტიკაში მოვიდეთ, მხოლოდ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იქნება. ამას მხოლოდ მაშინ გავაკეთებთ, თუ დავინახავთ, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია პროცესებს სწორად ვერ აუღებენ ალღოს. სწორად თუ ვიმოქმედებთ, ამ ორი უზარმაზარი სახელმწიფოს დაპირისპირებით საქართველოს მაქსიმალურ სარგებელს მიიღებს.

***– როგორ შეიძლება ნახოს საქართველოს სარგებელი ამ 2 იმპერიის დაპირისპირებით?***

– ეს საინტერვიუ თემაა არაა. აქ უნდა ჩაერთოს დიპლომატია, ეკონომიკა. ანტიტერორისტული საქმიანობა და ეთნორეგიონული პოლიტიკა. ყველა მათგანი ცალ-ცალკეა დასალაგებელი.

***– თქვენი აზრით, ხელისუფლებას აქვს რაიმე მონახაზი ამ მიმართულებით?***

– არ ვიცით, მათთან არ ვკონტაქტობთ. ხელისუფლებას ჩვენთან ურ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# რა სთხოვა პაატა ბურჭულაძემ მიხეილ სააკაშვილს

## უკრაინული ვიკილიქსი სააკაშვილის საუბრის მორიგ ჩანაწერს აქვეყნებს

შორენა მარსაგიშვილი

მცირე პაუზის შემდეგ უკრაინული ვიკილიქსი ისევ ამოიქოქა და საქართველო ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების საუბრის მორიგი ჩანაწერით გაამხიარულა.

აღნიშნული საუბარი, ვიკილიქსის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილის ავტომობილშია ჩაწერილი.

მათი დიალოგი (თუ ის მართლაც შედგა) თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ არის ჩაწერილი. სააკაშვილი და ადეიშვილი ისლამური სახელმწიფოს სახელით გავრცელებულ ვიდეომიმართვაზეც საუბრობენ. მიმართვის ავტორებს ნაპრეზიდენტალი ქინძებს უწოდებს.

სააკაშვილის ავტომობილში მხარეებმა საქართველოს შიდა პოლიტიკური სამზარეულოც განიხილეს და საკმაოდ საინტერესო რაღაცები აღნიშნეს.

„ახალი თაობა“ ვიკილიქსის მიერ გავრცელებულ საუბარს უცვლელად გთავაზობთ. მის ავთენტურობას, ალბათ, სათანადო ორგანოები დაადგენენ.

**მიხეილ სააკაშვილი:** – როგორა ხარ, ზურაბ? ხო ხედავ, რაც ხდება!

**ზურაბ ადეიშვილი:** – აბა! რა რეჩკვა ერდოგანმა რუსებს! რა მოხდება ეხლა მიშა, დიდი ომი ხომ არ დაიწყება?

**მ.ს.:** – ბიჭო, CIA-ს გენერალმა მითხრა, რომ თურქები დააჯახეს რუსებს, თან თურქებს პრიჩინაც ჰქონდათ, პუტინმა დაბომბა მთელი ნავთობის ბაზები ISIS-ში და თურქებს ნავთობის პატოკი გაუჩერა.

მერე ქურთები აბლატავეს, მანამდე ამერიკელებმა კი შეაიარაღეს, მაგრამ ეხლა ირანიდან დიდი იარაღი შედის და ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნაში ეხმარებიან. ხოდა თურქებს აწყობდათ ეგ დარტყმა და რეალურად ჩასაფრებულები იყვნენ, ამით რუსები გააფრთხილეს, რომ სირიელი თურქმენები არ დაბომბოს საზღვართან და ქურთებიც დააშინეს. პარიზის ტერაქტს არავინ ელოდა, ისლამურ სახელმწიფოში ბევრი სასტავია და სიაიეი ყველას ვერ აკონტროლებს.

**ზ.ა.:** – მერე, მიშა, რუსებმა შეიძლება ომი დაიწყონ, აირევა სიტუაცია.

**მ.ს.:** – დაიწყონ მერე რა, ჩვენც ეგ გვინდა! ისე არაფერი არ მოხდება. ნუ, არ გაუშვებენ ეხლა ტურისტებს თურქეთში და ვსიო. არ დაგავიწყდეს, შავი ზღვიდან გასასვლელი თურქეთის ხელშია. ეხლა საშიშროებაა, ფრანგები და რუსები არ შეიკრან, ეს არის პრობლემა!

ხო, რა მინდოდა! ერთი პანკისელი ბიჭი ჩავიდა იქედან თბილისში და დააკავეს, ტერორისტობას ტენიან!

**ზ.ა.:** – ბორჩაშვილზე მეუბნები, ხო?! მაგაზე მელაპარაკა უკვე კეზერა. ჩემებს შევუთვალე და რაღაცას მოიფიქრებენ, ყველა შემთხვევაში ტერორისტობის მუხლს ვერ შეუფარდებენ და დაიხურება. ისინი ვინ არიან, ალაჰის სახელით რომ ემუქრებიან საქართველოს?

**მ.ს.:** – ეგენი ვიღაც ქინძები არიან! იქედან ერთი ჯემალა არის, ჩვენებთან იყო ალ-ნუსრაში, ისლამურ სახელმწიფოს შეუერთდა და ზემლიაკები შემოიერთა, ეგენი არიან, გურჯისტან ვილაიეთი ვართო, იძახიან. ეხლა რამდენი არიან, არ ვიცი, ხო ნახე, როგორი გონორით ლაპარაკობენ ეგ სირები! საქმეზე მელაპარაკე, რა! რაც გითხარი, იმაზე რა ქენი?

**ზ.ა.:** – რუსთავის საქმე, როგორც გითხარი, გაიწელება, აპელაციაც და უზენაესიც გაწელავს. პაპუაშვილთან წავიმუშავეთ და საკონსტიტუციო სარჩელები კიდევ შევა. მე მაგას გავაკეთებ და



კეზერას შენ უთხარი, რომ მოსამართლეებს თანხა დაუფაროს. მერე ნიკა მე მირეკავს, დაფინანსება დამაკლესო, ბეჟუაშვილმა ნახევარი მოგვცაო. მე რა ვქნა, ეს დავითა ვერ დავიჭირე.

**მ.ს.:** – მაგათ მე მივხედავ! შენ ბურჭულაძეზე მითხარი, რა ქენით.

**ზ.ა.:** – მაგას ჩვენები მივაბით, მესამე ძალად უნდა ავაგოროთ, ფონდი რომ დაარქვა, ცუდია, გასაპიარებელია! მაგრამ კოალიციის სახეს მივცემთ. შენი დახმარება არის საჭირო, ამერიკელებმა მხარი რომ დაუჭირონ.

**მ.ს.:** – ზურა, შენ გააკონტროლე რა, ეგ საქმე. გირჩა-მირჩებმა იაქტიურონ ბურჭულაძესთან, ვანო როა, მაჭავარიანის ძმა, ბოჩოლასავით რო ნაბავს თვალებს, გააქტიურდეს ყველა. მერე გააბაზრეთ, რომ ამერიკელების პროექტია და ეგ ძალა მოდის სათავეში, პინგვინა გაფრთხილებულია და ბურჭულაძე მოდის, ესე ილაპარაკეთ ყველგან.

პაატას შევპირდი, გვარამია და თარგამაძე გაუკეთებენ პიარპროგრამას და რუსთავი შენზე იმუშავებს-მეთქი. მაგანაც მთხოვა ამერიკელების მხარდაჭერა, შევპირდი, შენ იაქტიურე და მერე კელი გამოვა და თავისას იტყვის! დიდი მადლობა, ყველაფერს გავაკეთებ, ბატონო მიშა, – ბარიტონით მითხრა! რა გაცინებს, შეჩემა!

**ზ.ა.:** – კაი რა! მაგარი სირია ისე ეგ ტიპი!

**მ.ს.:** – მაიცა, ეხლა! ღადაობას თავი დაანებე! კაცო, მარგველამ რა თქვა, რაო?

**ზ.ა.:** – მარგველას ბოკერია ელაპარაკება, ძმაკაცურად. ახალ წლამდე კი შეგვპირდა უგულავაზე, მაგრამ თავი შეიკავა. სათანადო პოლიტიკური გარემო არის შესაქმნელი და ვერ გავაკეთებო. ვანოსაც შევიწყალებ და სხვასაცო, მაგრამ სიტუაცია უნდა შეიქმნასო. მე ვფიქრობ, ჩვენები ყველა პოლიტპატიმრებად უნდა გავაფორმოთ, სქემა მომზადებული მაქვს და ვმუშაობთ. სტრასბურგის ბერკეტებს გამოვიყენებთ ასევე.

**მ.ს.:** – დავითა მოვა ჩემთან შვიდ საათზე და შენც მოდი რვის ნახევრისთვის. პრიპორტოვოის საკითხი უნდა მოვაგვაროთ და პროკურატურის სისტემა მოვმართოთ. საყვარელიძემ, დნეპროპეტროვსკში დათო როა გონგაძე, ხო იცი, ის გაუშვა და ნაბიჭვარი კუცუკები გადახდას არ აპირებენ, კარგათ მოიფიქრე რა ამაზე! თან იმ კროლიკმა იაცენიუკმა სუ გადაიჯვა თავზე!

**ზ.ა.:** – კაი, მოვალ აუცილებლად.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება საქართველოსთვის სახიფათოა“

## „ჭორვილური პოლიტიკით შეიძლება ნეგატიური შედეგი მივიღოთ“

ნონა ცაბაძე

პარლამენტმა დღეს მთავარი პროკურორის კანდიდატურას უნდა უყაროს კენჭი. ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების კანდიდატს მხარს არ უჭერს. როგორც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე აცხადებს, ისინი კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებენ და შოთაძის კანდიდატურის წინააღმდეგ მისცემენ ხმას.

***— რატომ მიდიხართ წინააღმდეგი?***

— ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ შოთაძე ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა დღევანდელ პროკურატურაში. შესაბამისად, თუ შევაფასებთ ბოლო წლების განმავლობაში პროკურატურის მუშაობას, არის უამრავი გამოუძიებელი საქმე, დაწყებული ბარბარე რაფალიანცის საქმიდან, გაგრძელებული თავთუხაშვილის საქმით, ასევე ეროსი კიწმარიშვილის საქმე. არის პოლიტიკურად მიკერძოებული დამოკიდებულება პროკურატურის სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით.

***— იმის თქმა გინდათ, რომ დღეს პროკურატურა პოლიტიზებულია?***

— დიახ, ასეა. ეს პროკურატურა კი არ არის, ეს არის „ქართული ოცნების“, უფრო სწორად კი ბიძინა ივანიშვილის დავალებების შემსრულებელი პოლიტიკური ორგანო და ეს დიდი პრობლემაა. ამიტომაც წინააღმდეგი ვართ, რომ ადამიანი, რომელიც არის ამ სისტემის ერთ-ერთი შემოქმედი, გახდეს მთავარი პროკურორი.

***— შოთაძე ხომ არ იყო ამ დრომდე პასუხისმგებელი პირი, გადაწყვეტილებებს ხომ სხვა იღებდა? იქნებ მთლიანად ცვლის პროკურატურის მუშაობის სტილს?***

— პირდაპირ გეტყვით, რომ ამის ნამდვილად არ მჯერა, იმიტომ, რომ ის იყო აქტიური, მოქმედი პირი ყველა ამ საქმეში. აქტიურად აკეთებდა კომენტარებსაც, განმარტებებსაც და აქტიურად მონაწილეობდა პროკურატურის საქმიანობაში.





***— ხელისუფლების პოზიცია ასეთია, რომ შოთაძე დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა და ბევრი გახმაურებული საქმე გახსნა. თქვენ არ იზიარებთ ამ პოზიციას?***

— მე არ ვიცი, რომელი საქმე გახსნა შოთაძემ, მაგრამ ის ვიცი, რომ კორუფციული საქმეები ყველა თაროზე დევს ან გამოუძიებელია. ზუსტად ამიტომ არის, რომ კორუფციის ჭაობში სულ უფრო ვიძირებით. რომელი გახმაურებული საქმე გახსნა შოთაძემ?!

***— თუნდაც ვაზაგაშვილის.***

— ნუ, ვაზაგაშვილის საქმე და სხვა საქმეები ჯერ კიდევ მიდის სააპელაციო სასამართლოში, შემდეგ უზენაესში და ამ საქმეებზე ამის შემდეგ დადგება შედეგი. თუმცა ესეც „ქართული ოცნების“ დაკვეთა იყო. სწორედ მაგას ვამბობ, რომ მარტო „ქართული ოცნების“ დაკვეთას ასრულებს პროკურატურა და არ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც დღეს არის. რაფალიანცის საქმე რატომ არ გამოიძია?! ან ეროსი კიწმარიშვილის?! ცოტაა ასეთი საქმე?!

***— გყავდათ ფავორიტი კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერდით?***

— ამ შემთხვევაში – არა. დასახელებულ კანდიდატებს შორის ჩვენი ფავორიტი ნამდვილად არ ყოფილა.

### ნაციონალები ირაკლი შოთაძის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ

***— ამბობენ, რომ პროკურატურას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, საკმაოდ რთული პერიოდია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში. რამდენად არის პანიკის საფუძველი? ისლამურ საფრთხესთან დაკავშირებით რა პოზიცია გაქვთ?***

— გეოპოლიტიკური სიტუაცია სწრაფად იცვლება. დღეების მიხედვით განსხვავებული მდგომარეობაა. მაგალითად, საფრანგეთის ტერაქტის შემდეგ დამოკიდებულება საერთაშორისო საზოგადოების რუსეთის მიმართ თითქოს რამდენიმე საათით შეიცვალა, პრორუსულად მოაზროვნე ადამიანებში გაჩნდა განწყობა, რომ აი რუსეთმა მაინც თავის ძალა აჩვენა, თუმცა დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთს პარტნიორად ცივილიზებული სამყარო არ მიიჩნევს.

***— რატომ არ მიიჩნევს?***

— იმიტომ, რომ არასანდოა! პუტინთან თანამშრომლობა არასანდოა. პუტინი სანდო პარტნიორად შესაძლოა ღარიბაშვილმა მიიჩნიოს და ივანიშვილმა. ცივილიზებული მსოფლიო მას არ ენდობა. ასევე ძალიან სპეციფიკური და მნიშვნელოვანია რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს ჩვენს ეკონომიკასა და ზოგადად გეოპოლიტიკაზე.

***— ორივე ჩვენი მეზობელია. თუკი მათ შორის ურთიერთობები გამწვავდება, ეს ჩვენთვის რამდენად სახიფათო იქნება?***

— ეს სიტუაცია საკმაოდ საფრთხის შემცველია, თუმცა, მეორე მხრივ, რუსეთს არ შესწევს იმის ძალა, რომ თურქეთთან, ნატოს წევრ ქვეყანასთან, რაიმე შეიარაღებულ დაპირისპირებაზე წავიდეს.

***— ამას გამორიცხავთ?***

— პირდაპირ გეტყვით, რომ რუსეთი სულს ღაფავს, იმიტომ, რომ ნავთობის ფასი ისევ მცირდება, მას რეზერვები ეწურება და არის ურთულეს ეკონომიკურ მდგომარეობაში. მისივე სისულელის გამო შევიდა სირიაში და დღეს ჩათრეულია ამ პროცესშიც. აბსოლუტურად ვერავინ გაიგო რუსეთის მოქმედება სირიაში, რას ბომბავს, ვის ბომბავს.

***— ხომ ახორციელებს საომარ მოქმედებებს?***

— ის რეალურად კი არ ბომბავს ისლამური სახელმწიფოს ტერორისტების ადგილსამყოფელს, არამედ ისეთ ტერიტორიას ბომბავს, სადაც ოფიცი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მოსამართლემ დათო ტურაშვილი და ირმა ჭკადუა დარბაზიდან გააძევა

## დათო ტურაშვილი: „მირჩევნია, დამაპატიმრონ“

გუშინ, 26 ნოემბერს, ნარკოდანაშაულისთვის ბრალდებული მსახიობის, ირაკლი რამიშვილის, წინასასამართლო სხდომა გაიმართა.

სხდომა სკანდალურ ვითარებაში წარიმართა.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილმა მსახიობის მხარდასაჭერად მისული დავით ტურაშვილი 200 ლარით დააჯარიმა და დარბაზიდანაც გააძევა.

დათო ტურაშვილი საგულშემატკივროდ იყო მისული და ბრალდებულს თავდებში უდგებოდა.




ტურაშვილმა დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ მან გააპროტესტა პროკურორების ქმედებები.

მისივე თქმით, ბრალდების მხარე მოუმზადებელი წარდგა სასამართლოს წინაშე და მან მათ განათლებისკენ მოუწოდა. სწორედ ამან გამოიწვია მოსამართლის მხრიდან მისი გაძევება და დაჯარიმება.

— მირჩევნია, დამაპატიმრონ, რადგან ფინანსური პრობლემები მაქვს და ჯარიმას ვერ გადავიხდი, — განაცხადა მწერალმა.

მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილმა დარბაზიდან ადვოკატი ირმა ჭკადუაც გააძევა.

ირმა ჭკადუასა და მოსამართლეს შორის შელაპარაკება მაშინ მოხდა, როდესაც ადვოკატი მოსამართლე მრელაშვილის აცილებაზე შუამდგომლობას აყენებდა.

— ცუდად იქცევით, გვიყვირით ისე, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ისლამური სახელმწიფო საქართველოზე ხელს არ აღმართავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თიერთობა თუ უნდა, ჩვენ მზად ვართ მასთან სათანამშრომლოდ, ოღონდ ოფიციალურად.

***— წინა ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს კავკასიაში გავლენების სფეროებს შეეცილებიანო. ეს დაპირისპირება ამ მცდელობას კიდევ უფრო გაამძაფრებს. საქართველო ამისთვის მზად არის?***

— თუ ხელისუფლება და ოპოზიცია, ანტიხალხურთან ერთად, ანტიქართულიც იქნება, მაშინ ძალიან დიდ შარში გავყოფთ თავს. რუსეთი თურქეთის ტერიტორიაზე ქურთული მოძრაობის გაძლიერებას შეეცდება. ამისთვის მოსკოვს მთელი კავკასია სჭირდება, როგორც პლაცდარმი და როგორც ზურგი. ის ყველაფერს გააკეთებს, ისეთი პროვოკაცია მოაწყოს, რომ აქ შემოვიდეს. ამის გაკეთება მას ძალიან მარტივად შეუძლია.

***— ძალიან მარტივად როგორ?***

— საკმარისია, რამდენიმე შეიარაღებულმა ტერორისტმა საქართველოს მხრიდან მიაღწიოს რუსეთის საზღვრამდე, რომ მოსკოვი აქ სამხედრო ოპერაციას ჩაატარებს. დღეს არსებული სამხედრო დოქტრინა კრემლს აძლევს იმის საშუალებას, რომ შევიდეს და ოპერაცია ჩაატაროს იმ ტერიტორიაზე, საიდანაც მის სახელმწიფოებრიობას საფრთხე ემუქრება.

თურქეთმა კარგად იცის, რომ ქურთული მოძრაობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო. ანკარა შეეცდება, რომ რუსეთს საპასუხო დარტყმა მიაყენოს. ის რუსეთს გასული საუკუნის 90-იანი წლების მოდელით შეუქმნის პრობლემებს. წაახალისებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს ჩრდილოეთ კავკასიაში და თათარსტანში. მოსკოვისა არ იყოს, ამ მიზნის მისაღწევად კავკასია მასაც სჭირდება. საქართველოში მის დასაყრდენს სუნიტი ქართველები შეადგენენ.

ამ მიმართულებით მეტს არაფერს ვიტყვი, ისედაც იმაზე მეტი ვილაპარაკე და გამგებმა, წესით, უნდა გაიგოს. ჩვენს ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ ანკარასა და მოსკოვს ერთმანეთისთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ, რისთვისაც მათ საქართველო და კავკასია სჭირდებათ.

***— ოკუპირებულ აფხაზეთში აქამდე რუსები და თურქები კარგად თანაცხოვრობდნენ. ეს დაპირისპირება იმოქმედებს აფხაზეთზე?***

— აქაც აირევა სიტუაცია. აფხაზეთში არიან როგორც პრორუსული, ასევე პროთურქული ორიენტაციის აფხაზები.

***— რომელს დარჩება გამარჯვება?***

— პრორუსული ორიენტაციის აფხაზები პროთურქულებს აშკარად სჭარბობენ. აფხაზეთზე გავლენის სფეროები ქართველებთან ვაჭრობის ერთ-ერთი მიზეზი იქნება. ამაზე რუსიც შეგვევაჭრება და თურქიც.

მართალია, აჭარა ოკუპირებული არ არის, მაგრამ რუსეთს და თურქეთს აქაც აქვთ გავლენები. ვაჭრობა ამ მიმართულებითაც იქნება.

***— ცხინვალის რეგიონზე არავინ შეგვევაჭრება?***

— ე.წ. სამხრეთი ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, პრინციპში, აღარ არსებობს.

***— რას ნიშნავს აღარ არსებობს?***

— იმას, რომ ის წმინდა წყლის რუსულ სამხედრო ბაზად გადაიქცა, რომელსაც ამ კატეგორიის კულუარულ-დიპლომატიური თამაშები არ ეხება.

***— ფიქრობთ, რომ მისი დაბრუნება უფრო გაჭირდება, ვიდრე აფხაზეთის?***

— ჩვენ პირიქით გვგონია, მაგრამ, იცოდეს ყველამ, რომ დაბრუნების პროცესი ასე მარტივი არ იქნება. ბევრი რამ ჩვენი ხელისუფლების ხედვაზე იქნება დამოკიდებული. ახლა საქართველო გადის ბეწვის ხიდზე. თუ გავივლით, გავიმარჯვებთ.

***— თუ ვერ გავივლით?***

— თუ ვერ გავივლით და ჩავვარდით, სახელმწიფო დაიშლება. ამის ნებას კი არავის მივცემთ.

***— რა საფრთხეები შეიძლება დაემუქროს საქართველოს ისლამური სახელმწიფოსგან? 23 ნოემბერს გავრცელებული მუქარა ბევრმა არასერიოზულად აღიქვა.***

— არასერიოზულად არანაირი მუქარა არ უნდა აღიქვა, მით უმეტეს მაშინ, როცა 2 ყოფილი იმპერია გავლენების სფეროების გადანაწილებისთვის ერთმანეთს შეერკინა. ეს დაპირისპირება ისლამურ სახელმწიფოზეც იმოქმედებს. ძალიან ბევრ საველე მეთაურს მიეცემა საკუთარი წარსულის გადაფარვის შანსი. ზოგი თურქეთის მხარეს დაიჭერს, ზოგი რუსეთისკენ წავა.

ისლამურ სახელმწიფოში ორივე ქვეყნის სპეცსამსახურებს ჰყავს თავისი ხალხი ჩანერგილი. მოსკოვის მიერ ჩანერგილები ნელ-ნელა ბაშარ ალ ასადის მხარეს გადავლენ.

საფრთხეები სერიოზულია, ჩვენი სპეცსამსახურები ჯერობით ნორმალურად მუშაობენ და ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ასევე იმედს მაძლევს ისლამური სახელმწიფოს მიერ გავრცელებული ბოლო განცხადებაც.

***— რომელი განცხადება, საქართველო მტრული ქვეყნების ჩამონათვალში რომ არ შეიყვანა?***

— ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებაა. ამაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა პატრიარქმა. მას ისლამურ სამყაროში ყოველთვის მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა, პარიზის ტერაქტის შემდეგ გაკეთებულმა განცხადებამ კი მის მიმართ პატივისცემა კიდევ უფრო გაზარდა.

ტრაბახში არ ჩამომართვათ და ამ მიმართულებით ჩვენც ბევრი ვიმუშავეთ. ისლამურ სახელმწიფოს მხარეს ბევრი კავკასიელი იბრძვის და ჩვენი კავკასიელი მეგობრების მეშვეობით მათ დავუბარეთ, რომ აქ თუ მათი მხრიდან რამე მოხდა, ეს მთელი კავკასიის დასამარება იქნება, რადგან რუსეთი აქაურობას ცეცხლის ალში გახვევს. ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენმა პანკისელებმა, რომლებიც იქ არიან.

***— თარხან ბათირაშვილი გყავთ მხედველობაში?***

— არამარტო ის. თუმცა თარხანი ერთ-ერთი გამორჩეულია. პანკისელები არასდროს წასულან საქართველოს და ქართველების წინააღმდეგ. ეს ახლაც გამოჩნდა. ისლამური სახელმწიფო საქართველოსა და კავკასიაზე ხელს არ აღმართავს.

***— ბოლოს ისევ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. ჩრდილოეთი კორეის ლიდერი გამოვიდა და თქვა, თურქეთს მიწასთან გავასწორებო. ამ კიმ ჩენ ინს მართლა რამის თავი აქვს?***

— რისი თავი აქვს კიმ ჩენ ინს, ვერ გეტყვით, მაგრამ კორეას ბირთვული იარაღი აქვს, რაც პატარა საქმე არ არის. მისი განცხადება რუსეთის მხარდაჭერაა და მეტი არაფერი.


სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ირაკლი შოთაძე ხელისუფლებასა და ნაციონალებს შორის გარიგების ნაწილია“

## ლია მუხაშავრია: „ირაკლი შოთაძე ეცდება, პროკურატურაში არსებული თანამშრომლები შეინარჩუნოს“

ნათია ხურცილავა

სამართლის ექსპერტი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ირაკლი შოთაძე პროკურატურის სისტემის ნაწილია, თუმცა მას უჭირს იმის თქმა, რომ ახალი პროკურორი სისტემის რეალურ რეფორმირებას შეძლებს.

**ლია მუხაშავრია:**

– ქვეყანაში მთავარი პროკურორის არჩევითობა წინ გადადგმული ნაბიჯია. მთავარი პროკურორის შერჩევის ახალი მექანიზმები პროკურატურის, როგორც ინსტიტუციის, დამოუკიდებლობას ხელს ნამდვილად უწყობს, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად საუკეთესო კანდიდატურები იქნენ შერჩეული და პროცესი იყო თუ არა სრულიად გამჭვირვალე.

***– როგორ შეაფასებთ შოთაძეს? ოპოზიცია ამბობს, რომ ის არ იყო რიგითი თანამდებობის პირი პროკურატურაში და მას აკისრია პასუხისმგებლობა. ირაკლი შოთაძეც აცხადებს, რომ არ იხსნის პასუხისმგებლობას.***

– შოთაძე იყო ძალიან მაღალ თანამდებობაზე. ის იყო მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე. თუ ის რეფორმატორი იყო, მას ამის უფლებამოსილება რეალურად გააჩნდა. შოთაძე არ არის ახალი კადრი, ის არის ძველი სისტემის ძალიან კარგი ნაწილი. ისევე, როგორც სასამართლოში ჭიანურდება რეფორმა, ასევე ხდება პროკურატურაშიც.

***– რა უშლის ხელს რეალურ რეფორმას?***



– ახლა პროკურატურა დაინტერესებულია, რომ როგორმე თავი გადაირჩინოს და საკუთარი რესურსი შეინარჩუნოს. აიცილოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც პროკურატურას უნდა დაკისრებოდა, რომ ნამდვილი რეფორმა გატარებულიყო. მომხრე არ ვარ, ყველა ციხეში გაუშვან, მაგრამ ის უბედურება, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში ტრიალებდა, 215 პოლიტპატიმარი, რომელიც ქვეყანაში იყო, ისინიც ხომ ამ პროკურატურის ბოროტმოქმედების შედეგის?!

ამიტომ ძველ თანამშრომლებს პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე აკისრიათ. პროკურატურიდან მხოლოდ მცირე ნაწილი გაუშვეს. დანაშაულების ჩადენისთვის პასუხისგებაში არავინ მიუციათ. ახლა ამ ინსტიტუციამ დაინახა, რომ ახალი ხელისუფლება არის საკმარისად ძლიერი, რომ ამ ყველაფერზე პასუხი მოსთხოვოს, ამიტომ პროკურატურა ახლა თავის გადარჩენის რეჟიმშია.

თვითგადარჩენისთვის მას ის ფასადური ცვლილებები სჭირდებოდა, რომლებიც შემოგვთავაზა. ერთი შეხედვით, ევროპელის თვალით, ეს ცვლილებები დემოკრატიულია, პროკურატურის დამოუკიდებლობას ნამდვილად უწყობს ხელს, მაგრამ ეს არ არის ის, რაც ქვეყანას წაადგება. პროკურატურას ეს დამოუკიდებლობა სჭირდება იმისთვის, რომ თავის თანამშრომლებს ააცილოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ნამდვილად აკისრიათ.

***– შოთაძის პირველი მოქმედება რა იქნება?***

– როგორმე შეინარჩუნოს ის კადრები, რომლებიც დღეს პროკურატურაში არიან და აიცილოს პასუხისმგებლობა, ასევე შექმნას გარკვეული



ფასადი, რომ რეფორმები ტარდება.

პროკურატურის ცუდი მუშაობის ყველაზე კარგი მტკიცებულება არის ის, რომ მას ომის არცერთი დანაშაული არ გამოუძიებია.

***– რატომ? პრობლემა ნაკლებ პროფესიონალიზმშია?***

– არც იმდენად. პროკურატურამ უარი თქვა იმ საქმეების გამოძიებაზე, რომლებიც ხელისგულზე იდო. არსებობს ტალიავინის დასკვნა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ ომის დანაშაულის გამოძიება საერთაშორისო ვალდებულებით არის ნაკისრი, არ გამოუძიებიათ. ამიტომ ჰააგის ტრიბუნალმა თვითონ დაიწყო გამოძიება, მას შემდეგ, რაც ყველა მოლოდინისა და სახელმწიფო სუვერენიტეტისა და პატივისცემის შესაძლებლობა ამოწურა.

***– ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისთვის შეიქმნა ცალკე დეპარტამენტი. ეს არ არის საკმარისი?***

– ამ დეპარტამენტში უკვე იყო შესული უამრავი მტკიცებულება, რომლებსაც ასევე არ სჭირდებოდა დიდი დრო და გამოძიება, მაგრამ პროცესი კვლავინდებურად ჭიანურდება. რამდენიმე მანქანა რომ დაუბრუნდათ კანონიერ მფლობელებს, ეს საკითხი ერთი თვის განმავლობაში გადაწყდა, როდესაც ჯერ კიდევ კბილაშვილი იყო ქვეყნის მთავარი პროკურორი. ახლა დასჭირდათ და ამიტომაც მოხდა მისი გაპიარება. რატომ არ გააპიარეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი ქონებრივი უფლებების დარღვევის საქმეები, რომლებიც თითქოს გამოიძიეს?! თუ ვინმემ დაიბრუნა ქონება, ეს ისევ და ისევ კულუარებში მოხდა, პერსონალური შეთანხმებითა და გარიგებით.

შოთაძემ თითქოს იური ვაზაგაშვილის მკვლელობა გახსნა, მაგრამ დღემდე არავის უთქვამს, ვინ დაუკვეთა ეს საქმე. ამდენად, ეს საქმე გახსნილი არ არის და არანაირი დამსახურება მას არ აქვს, რომ ის დაწინაურდეს.

***– რატომ შეირჩა ირაკლი შოთაძის კანდიდატურა, რატომ გაკეთდა მასზე აქცენტი? ის იცნობს შიგნიდან სისტემას და ეს იყო გადამწყვეტი. თუ სხვა მიზეზი არსებობს?***

– „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის სავარაუდო გარიგების ნაწილია შოთაძე.

***– რას გულისხმობთ?***

– ყოფილ ხელისუფლებას პასუხი არ უნდა მოეთხოვოს. ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე დაჩაგრეს და უკანონოდ წაართვეს ქონება დღეს ვერ იბრუნებენ ამ ქონებას. შემთხვევით რომ არ მოხვდეს ვინმე ისეთი პროკურორი, რომელიც მართლა დაიწყებს გამოძიებას, თუ რა მოხდა წინა ხელისუფლების პირობებში, შეირჩა კადრი, რომელიც ამ სისტემის ნაწილია.

# მოსამართლემ დათო ტურაშვილი და ირმა ჭკადუა დარბაზიდან გააძევა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რამდენჯერმე კინალამ მანტიიდან ამოხტით. თუ მკურნალობა გჭირდებათ, იმკურნალეთ, – მიმართა ადვოკატმა მოსამართლეს, რის შემდეგაც ის მოსამართლემ გააძევა.

სხდომათა დარბაზში ხმაური მას შემდეგ დაიწყო, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მსახიობის ადვოკატების შუამდგომლობა პროკურატურის მტკიცებულებების დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

### ირმა ჭკადუა: „მოსამართლემ არ იცის, რა წერია კოდექსში“

ირაკლი რამიშვილის ადვოკატები თვლიან, რომ მტკიცებულებები უკანონოდ არის მოპოვებული.

– მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილი არათუ მიკერძოებულია, არამედ დღეს მან გააუპატიურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

ეს განცხადება ადვოკატმა ირმა ჭკადუამ სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ გააკეთა.

– მთავარი არის ის, რომ ირაკლი რამიშვილის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთიერებაზე გამომძიებლები, რომლებიც დაიკითხნენ, ამბობდნენ, რომ ეს იყო მოთეთრო ფერის გრანულებიანი ნივთიერება. ექსპერტებმა კი გახსნეს და აღნიშნული ნივთიერება წარმოადგინეს, როგორც მცენარეული, მოყავისფრო ფერის ნივთიერება. მოსამართლემ კი თქვა, რომ ერთი და იგივეა ეს. ამის შემდეგ როგორ შეიძლება ჩაითვალოს ის მიუკერძოებელ და ობიექტურ მოსამართლედ. ის არათუ მიუკერძოებელია, არამედ საერთოდ არ იცის, რა წერია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მან დღეს გააუპატიურა საპროცესო კოდექსი, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

მსახიობი ირაკლი რამიშვილი 11 ოქტომბერს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მსახიობს ნარკოტიკული საშუალება ჩაუდეს.

# „2016 წელს ლარი გამყარებას დაიწყებს“



რეგიონული ფაქტორების გამო საქართველოს ვალუტის ფასი შესუსტდა. მთელ რეგიონში ასეა.

ამის შესახებ საქსობანკის მთავარმა ეკონომისტმა სტინ იაკობსენმა ჟურნალისტებს გუშინ, 26 ნოემბერს, განუცხადა.

მისივე თქმით, 2016 წელს დოლარის კურსი შესუსტდება და ლარი გამყარებას დაიწყებს. საქსობანკი ვარაუდობს, რომ ლარი 10%-ით გამყარდება. ამის ძირითადი მიზეზი ის იქნება, რომ ამერიკული დოლარი შეწყვეტს გამყარებას.

– აქ გასათვალისწინებელია ერთი ტენდენცია, რომელიც ყველას ყურადღების მიღმა რჩება, რომ დოლარის კურსი უარყოფით კორელაციაშია შეერთებული შტატების მონეტარულ პოლიტიკასთან. შესაბამისად, ინვესტორებს ლარი უდიდეს შესაძლებლობებს უხსნის, რადგან სახეზეა ინვესტორებისთვის აუცილებელი ორივე კომპონენტი – ღირებულება და ფასი. ფასი, რასაც იხდი, ღირებულება, რასაც იღებ და ორივე შემთხვევაში, ვფიქრობ, ლარი საუკეთესო ვარიანტია.

მეტი ინვესტიცია იქნება სილქ როუდის ინფრასტრუქტურაში ჰიდროენერგეტიკის განვითარების პარალელურად. ამდენად, საუკეთესო მაკროეკონომიკური განვითარება, რასაც 30 ქვეყანაში ჩემი ვიზიტის დროს დავაკვირდი, არის საქართველოს შემთხვევაში. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 2016 წელს ლარი 10%-ით უნდა გამყარდეს, – განაცხადა სტინ იაკობსენმა.

მისივე თქმით, უზარმაზარი დეფიციტის მიუხედავად, პოზიტიური ტენდენციები უნდა დაიწყოს.

– ალბათ, ბევრი ადამიანი ამას ვერ აცნობიერებს, მაგრამ, ვფიქრობ, ლარს დიდი შესაძლებლობები გააჩნია კურსის გამყარების თვალსაზრისით. მაღალპროდუქტიულობის წყალობით, ასევე ჰიდროენერგეტიკული და სხვა პროექტების საშუალებით, ლარის 10%-იანი გამყარება უნდა იყოს აბსოლუტურად რეალური, – განაცხადა სტინ იაკობსენმა.

**ბიპიენი**

# გიორგი ვაშაძე: „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება საქართველოსთვის სახიფათოა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ალურად არ არის ისლამური სახელმწიფო და იქ რეალურად არ არის ის საფრთხე, რის წინააღმდეგაც თითქოს იბრძვის რუსეთი.

***– ანუ რუსეთი თვალთმაქცობს?***

– თვალთმაქცობს, თავის თამაშს თამაშობს. თუმცა მისი თამაშის წესები არავისთვის გაუგებარი აღარ არის. ყველამ ყველაფერი კარგად დაინახა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ფონზე საქართველოს ჰქონდეს ძალიან აქტიური საგარეო პოლიტიკა და იყოს თანამონაწილე იმ მოლაპარაკებების, იმ პროცესების, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში ხდება.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ? რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ?***

– ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენი ტერიტორიის უსაფრთხოებაზე, ტერორიზმისგან დაცვაზე. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება მხარდაჭერა ნატოს წევრი ქვეყნებისგან, აუცილებლად გვჭირდება სპეციფიკური მუშაობა და მოლაპარაკება მათთან, რომ საფრთხეში არ ვიყოთ. არა მგონია, რომ საქართველოს ჰქონდეს ტერორიზმთან ბრძოლის იმხელა გამოცდილება, როგორიც ამ ქვეყნებს აქვთ.

***– კონკრეტულად რაში უნდა დაგვიჭირონ მხარი?***

– მე ვგულისხმობ როგორც ფიზიკური ძალით მხარდაჭერას, შეიარაღების კუთხით მხარდაჭერას, ასევე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას და ასე შემდეგ. საქართველოს ხელისუფლებაში კი ამ თანამშრომლობის სურვილს ვერ ვხედავ და ეს პრობლემად მიმაჩნია.

ყველაზე სერიოზულ კრიზისულ სიტუაციაში, გლობალურ პოლიტიკაში, რომელიც კი ყოფილა საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, საქართველო ამ სიტუაციას ხვდება ყველაზე სუსტი ხელისუფლებით.

***– თქვენ უკეთ გაართმევდით თავს?***

– მხოლოდ ჩვენ კი არა, ამ სიტუაციაში შევარდნაძეც კი აჯობებდა ამ ხელისუფლებას. მას თუ სადმე რამე ესმოდა, საგარეო პოლიტიკაში ნამდვილად შეეძლო, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა და სწორი პოზიციონირება მოეხდინა. მეშინია, რომ ჭორვილური პოლიტიკით შეიძლება ნეგატიური შედეგი მივიღოთ ზოგადად ამ სიტუაციაში. არადა, შეგვეძლო, სწორი პოზიციონირებით, გარანტირებული, უსაფრთხო გარემო მიგვეღო ქვეყანაში.

***– როგორ, რა კუთხით? თქვენ რას იზამდით არსებულ სიტუაციაში?***

– თანამონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა მოლაპარაკებაში, სხვადასხვა ფორმატში ყოფნა, თანამშრომლობა უსაფრთხოების თვალსაზრისით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ცოდნისა და გამოცდილების მიღება, შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება. იმ დასახლებულ პუნქტებთან მუშაობა, საიდანაც ისლამურ სახელმწიფოში არიან საბრძოლველად წასული და ასეთი რეგიონები გვაქვს. აუცილებელია ამ ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობაში, ასევე აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო დისკუსიებში, იქნება ეს გაერო თუ ევროსაბჭო!

ეს რომ ჩვენს დროს ყოფილიყო, ჩვენ გვექნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი და აქტიური პოზიცია. ჩვენ უნდა ვიდგეთ ცივილიზებული სამყაროს გვერდით, თუ გვინდა, რომ ისინი იდგნენ ჩვენ გვერდით. ჩვენი პასიური პოზიციით საფრთხე არ უნდა შევუქმნათ საერთაშორისო უსაფრთხოებას.

***– თუმცა გვესმის შეფასებები, ექსპერტების, პოლიტიკოსების, ამ საქმის სპეციალისტების, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და წინა ხაზზე ვერ იბრძოლებს ტერორიზმის წინააღმდეგ.***

– ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის არა ის, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, არამედ ის, რომ ჩვენს რეგიონში ხდება ეს ყველაფერი! გვინდა, არ გვინდა, ჩვენ მოგვიწევს წინა ხაზზე ყოფნა, იმიტომ, რომ ჩვენგან შორს არ არის ტერიტორიულად ის ადგილი, სადაც ყველა ეს ოპერაცია ხორციელდება.

ვერასდროს ვიტანდი ამ თვითგვემით დამოკიდებულებებს, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ჩვენ ვინ გვეკითხება და ასე შემდეგ. ეს დამღუპველია!

***– ანუ საქმე იმაზე სერიოზულადაა, ვიდრე ეს ჰგონიათ?***

– რასაკვირველია. რა მნიშვნელობა აქვს ტერიტორიულ საზღვრებს?! შენი ინტერესები ყოველთვის წინა პლანზე უნდა დააყენო! ნატოს პარტნიორი ხარ, თურქეთის პარტნიორი ხარ, ეს საფრთხე შენც გემუქრება, ასევე შენი ქვეყნის მოქალაქეებიც არიან ჩართულნი ამ პროცესში და, შესაბამისად, შენ წინა ხაზზე უნდა იყო, აუცილებლად! საფრთხე რეალურია.

***– ფიქრობთ, რომ ეს ვიდეომუქარები რეალურია?***

– ადამიანს ყოველთვის იმის იმედი გაქვს ხოლმე, რომ ეს ის მუქარა არ არის, რომელიც უნდა იყოს. თუმცა სიტუაცია საფრთხის შემცველია. უსაფრთხოების თვალსაზრისით კონკრეტული ქმედებებია საჭირო. კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი. მარჩიელობის დრო ნამდვილად არ არის.

# არჩილ გამზარდია: „რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება არ სჭირდება“

## „ჩვენ ნეიტრალიტეტი უნდა დავიცვათ“

გულიკო ბალაძე






ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია აცხადებს, რომ, საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე, ტერორიზმის საფრთხეები რეალურად იზრდება, მით უმეტეს, რომ მუქარის ვიდეოებს არა უცხო ქვეყნის, არამედ საქართველოს მოქალაქეები ავრცელებენ.

***— ბატონო არჩილ, დღეს საქართველოს ტერორიზმის რეალური საფრთხეები აქვს?***

— ტერორიზმის საფრთხე მთელ მსოფლიოს და ჩვენს ქვეყანასაც ემუქრება. ჩვენი ქვეყანა განლაგებულია ისეთ სივრცეში, რომელიც ამ საფრთხეებს უფრო მეტად აირეკლავს, თუმცა მოცემულ მომენტში საფრთხეები რამდენიმე მიზეზის გამო არ ჩანს.

პირველი იმიტომ, რომ ამ მხრივ სუბიექტს არ წარმოვადგენთ, მეორე — საზოგადოება მშვიდად მიჰყვება პროცესებს, არ არის დაპანიკებული. ხელისუფლება და ზოგადად სახელმწიფო სექტორი საკითხებს სიფრთხილით ეკიდება. მაქსიმალურად აკონტროლებს პროცესებს. ტერორიზმის საფრთხე არსებობს, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა მთავარი რისკის ქვეშ არ მოხვდება.

***— რატომ, საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც იბრძვიან ისლამური სახელმწიფოს რიგებში, რეალურ ქმედებებს ვერ განახორციელებენ?***

— თეორიულად შეუძლიათ საფრთხის შექმნა, ოღონდ გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ მუქარის ვიდეოებს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ავრცელებენ, ამიტომ ტერორიზმის ანატომია კიდევ უფრო მეტად არის გასააზრებელი. ამ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული ზემოქმედების ბერკეტები. ამიტომ საჭიროა, სახელმწიფოც და საზოგადოებაც გარკვეული სიფრთხილისა და წესების ფარგლებში მოქმედებდნენ. ამას შეუძლია, გარკვეული რისკები შეამციროს.

არჩილ გამზარდიას თქმით, საქართველო მოქცეულია ორ დიდ ქვეყანას შორის და მათი ურთიერთობების დაძაბვა ჩვენც გვიქმნის საფრთხეს.

***— რუსეთ-თურქეთის გართულებული ურთიერთობის ფონზე საქართველოს საგარეო პოლიტიკა როგორი უნდა იყოს?***

— თუ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა მაქსიმალურად დაიძაბება, საქართველომ ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს. გასააზრებელია, თურქეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, საქართველო, როგორც ის ქვეყანა, რომელზეც შეიძლება, ეს კონფლიქტი რთულად აისახოს, რა პოზიციაში შეიძლება აღმოჩნდეს და როგორ შეიძლება, თავი დაიცვას.

ამ წუთისთვის სწორი იქნება გონივრული ქმედებები და ფრთხილი განცხადებები სახელმწიფოს მხრიდან. საჭიროა სიფრთხილე საზოგადოების მხრიდან, რომ საზოგადოებამ ისეთი პასაჟები არ წამოსწიოს, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოს ცუდ პირობებს შეუქმნის და ხელისუფლებაზე არასწორი ზეწოლა იქნება.

***— დღეისთვის პროცესები როგორ ფორმებს იღებს?***

— დღეისთვის ეს პროცესები ძალიან რთული არ არის, მაგრამ ბევრი სამუშაო აქვთ ჩვენს უშიშროების სამსახურებს. მათ მაქსიმალურად უნდა იმუშაონ საზოგადოებასთან, რათა საზოგადოება არ იყოს პანიკურ ან ემოციურ მდგომარეობაში, არამედ იყოს გონივრული და რაციონალური.

***— რუსეთის მხრიდან საფრთხე მუდამ გვემუქრება, მაგრამ, თურქეთთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე, რუსი სამხედროები გააქტიურდნენ ცხინვალის რეგიონშიც. ბოლო რამდენიმე დღეში მათ 20-მდე მოქალაქე გაიტაცეს ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფლებიდან. რუსეთი ხომ არ ცდილობს ჩვენთან ურთიერთობის დაძაბვას?***

— მთელი უცნაურობა ის არის, რომ რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები არ ახორციელებენ იმას, რაც სჭირდება მათ ქვეყანას. ამ წუთისთვის რუსეთს აწყობს, ყველა მხარესთან ნაკლები დაძაბულობა ჰქონდეს. ის კი, პირიქით, ყველა მხარესთან ამწვავებს ურთიერთობას. ახლახან უკრაინასთან კვლავ დაძაბა ურთიერთობა, გაზი შეუწყვიტა. ახლახან თურქეთთან ვითარების დაძაბვას ემბარგოები მოჰყვა. ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსაკუთრებული არაფერი ხდება. ადამიანთა გატაცებები ადრეც ხდებოდა.

***— ბოლო 1 კვირის განმავლობაში 20 ადამიანი გაიტაცეს.***

— მე არ ვიცი, ამ გატაცებებს ტენდენციის სახე მიეცა თუ არა. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, რად უნდა რუსეთს საქართველოსთან ვითარების გამწვავება. თუკი რუსეთი ყველა ქვეყანასთან დაძაბავს ურთიერთობას, მაშინ სხვა შრეები შეიქმნება.

***— რა შრეები შეიქმნება?***

— რუსეთი ბოლო დროს ცდილობს, მსოფლიოს ქვეყნებს აჩვენოს თავისი სიძლიერე. გარკვეული პერიოდის განმავლობაში რუსეთი ყველა ქვეყნის მიერ გამარგინალებული იყო. რუსეთი ცდილობს, ერთი მხრივ, სირიასთან დაკავშირებით თავი ცივილიზებული საზოგადოების ნაწილად წარმოადგინოს, მეორე მხრივ, გაშორდეს ცივილიზებულ პროცესს, რაც გაუგებარია.

რუსეთის პოლიტიკა სხვა ქვეყნების მიმართ წინააღმდეგობრივია.

არჩილ გამზარდია აღნიშნავს, რომ რუსეთ-თურქეთის უთანხმოებაში ნატომ პოზიცია თურქეთის სასარგებლოდ დაიკავა.

— რუსეთს არაერთხელ შერჩა სხვა ქვეყნების საჰაერო სივრცის დარღვევა. საქართველოს საჰაერო სივრცეს ის დღენიადაგ არღვევს. არასაბრძოლო ვითარებაში საჰაერო სივრცის დარღვევისთვის რუსული თვითმფრინავი რომ ჩამოგვეგდო, პუტინი მაშინვე დაუფიქრებლად ტანკებს შემოაგელვებდა, მაგრამ თურქეთის წინააღმდეგ ძალისმიერი ქმედება ვერ გაბედა, — აღნიშნავს ექსპერტი.

მისი თქმით, რუსეთი შეჩვეულია თვითნებობას საქართველოსთან, უკრაინასთან და სხვა ქვეყნებთან, მაგრამ უცებ მას გასცეს პასუხი თავნებობისთვის. თურქეთი თავისი შესაძლებლობებითა და ფუნქციით სხვაა. ჩვენგან განსხვავებით, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. რუსეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ თავნებობა ყველგან და ყოველთვის არ გაუვა.

***— რუსეთს შეუძლია გაცნობიერება იმისა, რომ რომელიღაც ფრონტზე უკან უნდა დაიხიოს?***

— ევროპული პოლიტიკა რუსეთის მიმართ ფრთხილია. უნდათ, რუსეთმა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გაითვალისწინოს და გააცნობიეროს თავისი ნაბიჯები, თავისი თავი დანარჩენ მსოფლიოში.

დღეს რუსეთი თავის თავს ვერ ხედავს თანამედროვე მსოფლიოში. ის თავს ისევ ძველ იმპერიად აღიქვამს. თუ რუსეთი სწორად გაიცნობიერებს თავის როლს, ბევრი პრობლემა შეიძლება მოხსნას.

***— საქართველოს დღეს ჰყავს ის ხელისუფლება, რომელიც ისეთ პოლიტიკას გაატარებს, რომ საქართველოს პრობლემები არ შეექმნება?***

— ამას რეალობა აჩვენებს. წინა ხელისუფლებამ პროვოკაციებს ვერ აარიდა თავი და ქვეყანა ჩათრეული აღმოჩნდა რუსეთის მიერ წამოწყებულ საომარ მოქმედებებში, რაც საკმაოდ წამგებიანად დამთავრდა ქვეყნისთვის.

ვერც შევარდნაძემ აარიდა თავი პროვოკაციებს.

დღევანდელ პირობებში რას გააკეთებს ხელისუფლება, სამსჯელო საგანია, მაგრამ, არსებული მოცემულობით, ახლანდელი ხელისუფლება ბევრად უფრო ფრთხილია.

# „ერთი კაცის „პახმელიაზე“ თანამდებობის პირების დანიშვნა უნდა შეწყდეს!“

## მამუკა გიორგაძე: „შესაქმნელია ფართო კოალიცია“

მარიამ მჭედლიშვილი



„ქართული ოცნება“ ჩამოუყალიბებელი ძალაა“

სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე მიიჩნევს, რომ ქვეყნის წინაშე გაჩენილმა რისკებმა უფრო გამოკვეთა მანკიერებები, რომლებიც ქვეყნის მართვაში არსებობს.

ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთ-თურქეთს შორის წარმოქმნილ დაპირისპირებაში უნდა გააკეთოს თურქეთის მხარდამჭერი განცხადება. მამუკა გიორგაძის აზრით, ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის.

**მამუკა გიორგაძე:**

— პირველ რიგში, ქვეყანამ საკუთარი ინტერესების დაცვა უნდა შეძლოს. ეს ექსპერტები იმაზე რატომ არ იღებენ ხმას, რაც აფხაზეთში ხდება? აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის გახსნა უფრო მეტი ხიფათის მომტანი არ არის? გიორგობას რომ შენს მოქალაქეს დაიჭერენ იმის გამო, რომ სალოცავად სხვა სოფელში გადავიდა და მას ვითომდა საზღვრის დარღვევას დააბრალებენ, ეს არ არის ქვეყნისათვის საშიში?

ჯერ საკუთარი სახელმწიფოს, საკუთარი მოქალაქეების დაცვა უნდა შეგეძლოს. თუ ამას მოახერხებ, მაშინ შეძლებ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტში ჩარევას. გადაწყვეტილებების მიღება ჩამოუყალიბებელი იდეოლოგიის მქონე სტრუქტურის ხელშია. ეს პარიზის ტერაქტების შემდეგაც გამოჩნდა.

***— რას გულისხმობთ?***

— პარიზში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შემდეგ საქართველოში მთავარი განსახილველი თემა გახდა ის, თუ ვინ მოიწვევს სხდომას უსაფრთხოების საკითხებზე — მარგველაშვილი თუ ღარიბაშვილი.

საერთოდ, ხელისუფლება ამორფულია. არის პოლიტიკური ქაოსი. წინა ხელისუფლება ანუ ნაციონალური მოძრაობა პროდასავლურ ძალად ითვლებოდა. რეალურად კი სააკაშვილის რეჟიმმა რუსეთსა და პუტინს იმხელა საქმე გაუკეთა, რომელსაც რუსეთის მოყვარე ვერ გააკეთებდა. საქართველოს ინტერესებზე არავინ ზრუნავდა და არც ახლა ზრუნავს.

„ქართული ოცნება“ საერთოდ ჩამოუყალიბებელი ძალაა. აქ შეხვდებით ულტრამემარცხენეებსაც, ულტრამემარჯვენეებსაც, ქრისტიან-დემოკრატებს, ასევე სტალინელებსა და პატრიოტებს. ისინი ერთ პიროვნებას ემსახურებიან.

***— ხელისუფლებას ჩამოყალიბებული ხედვა ესაჭიროება?***

— საერთოდ, შესაქმნელია ძირითადი კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელმაც ჩვენ ყველა უნდა გაგვაერთიანოს. გაწერილი უნდა იყოს, ვის რა ევალება, რა პასუხისმგებლობა აქვს. საუბარია ხელისუფლების, საზოგადოების თითოეულ წევრზე. ჩვენ ერთიანი უნდა ვიყოთ. მხოლოდ ასე შევძლებთ იმ რისკებთან გამკლავებას, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

ხელისუფლება თავის უსუსურობას საგარეო პოლიტიკაში ხშირად აბრალებს ორ-სამ დეპუტატს ნაციონალური მოძრაობიდან. თურმე ყველაფერი გიორგი კანდელაკის ბრალი ყოფილა. ეს არასერიოზულობაა.

***— არსებობს სხვა ოპოზიციაც.***

— იმ პარტიებს შორის, რომლებიც ოპოზიციად მიიჩნევა, არიან ნაცმოძრაობის ნარჩენები, ასევე ისინი, ვინც „ქართულმა ოცნებამ“ დაბლოკა. ისეთებიც არიან, ვისაც „ქართული ოცნების“ კოალიციაში უნდა სხვისი ადგილის დაკავება. ამ ქაოსში კონსოლიდირებული აზრის ჩამოყალიბება და ქართული სახელმწიფოს, ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა წარმოუდგენელია.

***— გამოსავალი სად არის?***

— გამოსავალი ახალი კოალიციის შექმნაშია. ამ გაერთიანებაში უნდა შევიდნენ ძალები, რომლებსაც იდეოლოგია და პრინციპები აქვთ. საქართველოში ძალიან მცირეა ის პოლიტიკური პარტიები, რომელთა საქმიანობა ეყრდნობა ჩამოყალიბებულ იდეოლოგიასა და პრინციპებს. მხოლოდ ასეთი გაერთიანება შეძლებს, ააცილოს ქვეყანას ის საშიშროება, რომლის წინაშეც დავდექით.

***— ამ კოალიციის შესაქმნელად კონსულტაციებიც ხომ არ დაიწყო?***

— ცხოვრებამ დაგვანახა, ვინ ვინაა, ვის როგორი წარსული აქვს. შეხვედრები და კონსულტაციები პრობლემა არ არის. ამ ტიპის სამუშაო მიმდინარეობს. ვნახოთ, გვეყოფა თუ არა ძალა, ავიღოთ პასუხისმგებლობა ერზე, სახელმწიფოზე, თითოეულ მოქალაქეზე.

ღვთის შეწევნით, ამას მოვახერხებთ, თუ არადა, გაგრძელდება მარაზმი, პოლიტიკაში არაპოლიტიკოსების მოსვლა, კორუფცია, ერთი კაცის „პახმელიაზე“ თანამდებობის პირების დანიშვნა, კლანური მართვა და სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულებელყოფა.

ასე თუ გაგრძელდა, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება.

# რუსეთი თურქეთთან სავაჭრო ომს იწყებს

რუსეთის ხელისუფლება თურქეთის წინააღმდეგ სავაჭრო ომს იწყებს და ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს.

მთავრობამ როსსელხოზნადზორს უკვე დაავალა თურქეთიდან იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე კონტროლის გამკაცრება და საზღვარსა და წარმოების ადგილებზე დამატებითი შემოწმებების ჩატარება.

ამასთან, როსპოტრებნადზორმა განაცხადა პრეტენზიების შესახებ თურქული წარმოების ტანსაცმლისადმი.

უწყების ინფორმაციის თანახმად, სპეციალისტები „ნორმატიულ შეუსაბამობებს“ საბავშვო ტანსაცმელში, ავეჯში, სარეცხისა და საწმენდ საშუალებებში ეძებენ.

უწყება ირწმუნება, რომ თურქეთიდან შესულ პროდუქციაზე გაძლიერებული კონტროლი მთელი 2015 წლის განმავლობაში მიმდინარეობს. საუბარია მაღალი რისკის პროდუქციაზე.

მანამდე რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ალექსანდრ ტკაჩოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლება გააძლიერებს კონტროლს თურქეთიდან პროდუქციის შეტანაზე. როსსელხოზნადზორში, თავის მხრივ, დაადასტურეს, რომ სამინისტროსგან შესაბამისი ბრძანება მიიღეს.

რუსული „კომერსანტის“ ინფორმაციით, თურქული მხარის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების საპასუხოდ მოსკოვმა, შესაძლოა ოფიციალურად გამოაცხადოს თურქეთიდან საქონლის იმპორტის შეზღუდვის შესახებ.

ამ ეტაპზე ემბარგოს დაწესება არ განიხილება.

**კომერსანტ.გე**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# შოთა გულბანი: „მიკროსაფინანსო სექტორმა საქართველოში სწორი ნიშა გამონახა“

## „ბანკი კაპიტალის მოძიების ერთადერთი საშუალება არ უნდა იყოს“

**ლალი დავითური**



**მიკროსაფინანსო სექტორში რეფორმები საზედამხედველო კუთხით საჭიროა არა მარტო მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, არამედ ამ სექტორის ფუნქციონირების უფრო მაღალ სტანდარტებზე ასაყვანადაც**

ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. რამ გამოიწვია ბიზნესის ამ სფეროს ასეთი წარმატება, საჭიროა თუ არა რეფორმების შემოღება საზედამხედველო კუთხით? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი შოთა გულბანი ესაუბრა.

– საქართველოს ფინანსური სექტორის 93% ბანკებით არის წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესისთვის ფინანსების მოძიების თითქმის უალტერნატივო წყაროს ბანკები წარმოადგენენ. ბუნებრივია, ამ ფონზე ფინანსური რესურსების მოძიების ალტერნატიული საშუალებები განვითარდა, რომლებსაც ბანკებთან შედარებით საკუთარი უპირატესობები გააჩნიათ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სახით სწორი ნიშა გამონახეს, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა ფინანსური რესურსების დეფიციტი და ამ სეგმენტს საკმაოდ მოხერხებულად მოერგნენ, – განაცხადა შოთა გულბანმა.

მისი თქმით, მოთხოვნა არსებობდა არაუზრუნველყოფილ ანუ იმგვარ სესხებზე, რომლებიც ბიზნესის შემოსავლიანობის საფუძველზე გაიცემა, ეს კი მეწარმისთვის საკუთარი ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოტივაციაა, ვინაიდან სესხი სწორედ ამ ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველზე გაიცემა.

– თან გასათვალისწინებელია, რომ ყველას არ აქვს ქონება უზრუნველყოფაში ჩასადებად. ამ გარემოებებმა კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომრავლება განაპირობა, – აღნიშნა შოთა გულბანმა.

*– მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს რა უპირატესობა აქვთ?*

– ბანკები ბიზნესის დაკრედიტების დროს საკმაოდ ფრთხილნი არიან და სარისკო ბიზნესის დაფინანსებას თავს არიდებენ, რასაც ვერ ვიტყვით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, რომლებიც ამ მიმართულებით გაცილებით რისკიანები არიან და მათი საკრედიტო პორტფელის უდიდესი ხვედრითი წილი მოდის ისეთი დარგების დაფინანსებაზე, რაც შედარებით გრძელვადიან პერიოდში იძლევა მოგებას, მაგალითად, სოფლის მეურნეობა.

*– დაბალი ეკონომიკური განათლების გამო მოსახლეობა ვერ ერკვევა რისკებში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ ნდობა დიდია.*

– გეთანხმებით. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ფინანსური განათლების დონე საკმაოდ დაბალია. მომხმარებელი არ ეცნობა ხელშეკრულებას, რომელსაც საფინანსო დაწესებულება მას სთავაზობს, სადაც მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებია გათვალისწინებული.

მაგალითად, მე და თქვენ რომ დავდოთ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მე თქვენ თანხა უნდა გასესხოთ, ბუნებრივია, ჩემ მიერ შედგენილ ხელშეკრულებაში, პრევენციის მიზნით, მე ყველა ჩემს ინტერესსა და მოსალოდნელი რისკებისგან თავის არიდების მექანიზმებს გავითვალისწინებ. ამ შემთხვევაში თქვენ, როგორც მსესხებელი, რას იზამთ? ვერაფერს, იმიტომ, რომ ძალაუფლება ჩემს ხელშია. მე თქვენ გთავაზობთ ფულს, რომელიც გჭირდებათ მოცემულ მომენტში, რის გამოც მზად ხართ, ყველა ჩემი ინტერესი და პირობა გაითვალისწინოთ.

სწორედ მსგავსი პრაქტიკის აღსაკვეთად არის საჭირო ეფექტური რეგულატორი, რომელიც გაითვალისწინებს მომხმარებლის ინტერესებს და საფინანსო დაწესებულებებს დაავალდებულებს, რომ ხელშეკრულების შედგენის დროს მოსალოდნელი რისკები, მაგალითად, ისეთი, როგორიც არის სავალუტო რისკი, არასტაბილური ეკონომიკური ვითარება და ა.შ., შეძლებისდაგვარად თანაბრად იქნეს გადანაწილებული.

*– მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მომხმარებლებს ყველა სახის ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ, რასაც ჩვეულებრივი კომერციული ბანკები და კიდევ უფრო ადვილად, ვიდრე ბანკები. ვინ და როგორ უნდა დაიცვას მომხმარებლის ინტერესები?*

– ვფიქრობ, ყველაზე კარგი დამცველი თვითონ მომხმარებელია. ამ კუთხით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას მეტი რეგულირება სჭირდება, თუნდაც ეროვნული ბანკის მხრიდან, ან შესაძლებელია ცალკე მაკონტროლებელი ორგანო არსებობდეს, რომელიც მისო-ების მომხმარებელთა ინტერესებს დაიცავს. დღესდღეობით დაახლოებით 70-მდე მისო-ა რეგისტრირებული და, ბუნებრივია, ყველა არ არის კეთილსინდისიერი მოთამაშე.

*– რას გულისხმობთ?*

– ბევრი მათგანი სესხს გასცემს მხოლოდ უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების საფუძველზე და არ ამოწმებს მსესხებლის გადახდისუნარიანობას, რაც, საბოლოო ჯამში, მთავრდება ისე, რომ მსესხებელი რჩება სახლ-კარის გარეშე და წარმოიქმნება პრობლემა, ხოლო მსგავსი შემთხვევების სიმრავლეს მძიმე სოციალურ ფონამდე მივყავართ.

ამ კუთხით მაკონტროლებელი ორგანოს ჩარევა აუცილებელია, ვინაიდან ბაზარზე კეთილსინდისიერი მოთამაშეებიც არსებობენ, რომელთა რეპუტაცია მსგავსი შემთხვევების დროს ილახება. არადა, მე, პირადად, მივესალმები მისო-ების საქმიანობას იმ შინაარსით, რის საფუძველზეც ისინი ქართულ საფინანსო ბაზარზე გაჩნდნენ.

*– პარლამენტსა და ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ახალი რეგულაციების დაწესება სურთ. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგულაციების დაწესება მათი საქმიანობის შეზღუდვას ხომ არ ნიშნავს?*

– რეგულაციები გარკვეული ნორმის ფარგლებში ნებისმიერ სფეროში საჭიროა, რადგან უკონტროლო ბიზნესი პერსპექტივაში უარყოფითი შედეგების მომტანია. მიკროსაფინანსო სექტორშიც გარკვეული ტიპის რეფორმები საზედამხედველო კუთხით საჭიროა არა მარტო მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, არამედ ამ სექტორის ფუნქციონირების უფრო მაღალ სტანდარტებზე ასაყვანადაც.

სწორედ ეს ფუნქცია უნდა შეესრულებინა ახლადშექმნილ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს, რომელიც ბანკებთან ერთად ფინანსური სექტორის სხვა მოთამაშეების რეგულატორიც იქნებოდა, თუმცა მისი ფუნქციონირება დაწყებიდან მეორე დღესვე შეაჩერა საკონსტიტუციო სასამართლომ, რაც არ იყო შედეგის მომცემი გადაწყვეტილება.

*– მისო-ების მიერ გაცემული სესხებით მოსახლეობის კეთილდღეობა იზრდება თუ იკლებს?*

– მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა ან კლება არ უნდა იყოს დაკავშირებული მისო-ების სესხებზე და მათზე არსებულ არცთუ ისე სახარბიელო საპროცენტო განაკვეთებზე. საბოლოო ჯამში, პიროვნებამ საკუთარი წარმატება ან წარუმატებლობა მხოლოდ საკუთარ ქმედებებს უნდა დაუკავშიროს და არა გარემო პირობებს, ამ შემთხვევაში კი – მისო-ების სესხებს.

მიუხედავად მიკროსაფინანსოების საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი კითხვისა, მე მათ საქმიანობას დადებითად ვაფასებ, რადგან მათი გაკეთებული საქმე სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის დაფინანსების კუთხით უმნიშვნელოვანესია, ეს კი ის სეგმენტია, რომლის სიძლიერეც პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერესთან.

შოთა გულბანი ამბობს, რომ დღეს მისო-ების მიერ სამომხმარებლო სესხების დაფინანსებაც ხდება, თუმცა ამასაც აქვს თავისი დადებითი მხარე, ვინაიდან კაპიტალის მოძიების ერთადერთი საშუალება მხოლოდ ბანკები არ უნდა იყოს.

– აქედან გამომდინარე, გაიზრდება თუ შემცირდება მოსახლეობის კეთილდღეობა მათ მიერ გაცემული სესხებით, ეს დამოკიდებულია სესხის ტიპზე, – განაცხადა შოთა გულბანმა.

*– მაგალითად?*

– თუ ეს სესხი მიმართულია წარმოების დაფინანსებაზე, მაშინ დიდია შანსი, რომ ამ წარმოების მფლობელისა და აქ დასაქმებული ადამიანების ეკონომიკური კეთილდღეობა გაიზრდება, ხოლო თუ სესხი სამომხმარებლო ხასიათისაა, მაშინ მსესხებლის ეკონომიკური მდგომარეობა, მინიმუმ, არ შეიცვლება.

# სომხურ ცხვარს ქართული ცხვრის სახელით ვეღარ გაყიდიან

სომხურ ცხვარს ქართული ცხვრის სახელით ვეღარ გაყიდიან. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, იდენტიფიკაციის სისტემის საშუალებით, რომელიც სულ ახლახან დაინერგა, შესაძლებელი გახდება ქართული ცხვრის გაყალბებისგან დაცვა.

როგორც „კომერსანტთან“ სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის მოადგილე მიხეილ სოხაძე აცხადებს, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლამდე წვრილფეხა საქონელი გაივლის 21-დღიან კარანტინს, ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ საქონელი გადაინომრება, მიენიჭება ქართული ყურის ნიშანი, რომელიც მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას ცხვრის წარმოშობის შესახებ.

შესაბამისად, სოხაძის თქმით, ვერც სომხური და ვერც სხვა ქვეყნის ცხვარი ქართული ცხვრის სახელით ვერ გასაღდება.

სოხაძის განმარტებით, იდენტიფიცირების სისტემის დანერგვამდე, საქართველოში შემოსული ცხვარი, ფერმებში გადაყვანის შემდეგ, ერეოდა ქართულ ცხვარს და გარჩევა ძნელი იყო.

– სომხეთიდან შემოყვანილი ცხვარი ქართული ვეღარ გახდება, რადგან აქტიური იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია დავიწყეთ. პროცესი დაწყებულია ახალციხეში, გორში, ასე რომ, ქართული რეგისტრაციის გარეშე საქართველოდან ცხვარი ვეღარ გავა.

სომხური ცხვარი თუ გავა, უკვე გავა ტრანზიტით. ის, რომ ცხვარი შემოვიდეს და შემდეგ ქართული სერტიფიკატით გავიდეს, გამორიცხულია, თუ არ არის შემოყვანილი გაზაფხულზე. შესაძლოა, დარჩენილია გარკვეული რაოდენობა, რომელიც ქართულ ცხვარში აირევა, – აცხადებს მიხეილ სოხაძე.

მიხეილ სოხაძე არ ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ იორდანიამ საქართველოდან ცხვრის იმპორტი აკრძალა. მისი თქმით, პირიქით, დაახლოებით 1 კვირის წინ მათ ჰქონდათ შეხვედრა იორდანიის, ეგვიპტის, ლიბიის და სხვა არაბული ქვეყნების წარმომადგენლებთან და მათ ქართული ცხვრის იმპორტის გაფართოვების სურვილი გამოხატეს.

სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის მოადგილე აცხადებს, რომ ამ მიმართულებით დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა და, შესაძლოა, ქართული ცხვარი მალე ეგვიპტესა და ირანში გავიდეს.



◆ ◆ ◆

ქართული ცხვრის ექსპორტის პრობლემებზე მეცხვარეთა ასოციაცია დიდი ხანია საუბრობს. მისი ინფორმაციით, უკვე წლებია, ქართული ცხვრის სახელით სომხური ცხვარი სხვადასხვა ქვეყანაში გადის.

როგორც ასოციაციაში აცხადებენ, მეზობელი ქვეყანა საქართველოს სახელს იმის გამო იყენებს, რომ არაბული ქვეყნების უმეტესობა სომხური წარმოშობის ცხვრის მათ ქვეყნებში შეყვანის ნებართვას არ იძლევა.

– ეს დაკავშირებულია უმთავრესად ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემებთან, ამიტომ სომხეთიდან შემოსული ცხვარი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სრულად არც გადის 21 დღიან საკარანტინო დაკვირვებას, ხვდება არაბულ ქვეყნებში, როგორც ქართული ცხვარი. თუ რაიმე დაავადება გაიპარება საქართველოდან, იმ ქვეყანაში ექსპორტი 5 წლის მანძილზე არ განხორციელდება და ეს კიდევ უფრო შეარყევს ჩვენი ცხვრის რეპუტაციას, რომელიც ისედაც ძალიან ცუდ დღეშია, აცხადებდა „კომერსანტთან“ საუბრისას მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი რამდენიმე თვის წინ.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მეცხვარეებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სექტემბერში მიმართეს.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

# სერგეენკო: „მედიკამენტებზე განვადება არ დაგჭირდებათ“

## მინისტრი მოსახლეობას წამლების გაიაფებას კიდევ ერთხელ ჰპირდება

პროექტი, რომელიც მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას გულისხმობს, სავარაუდოდ, მომავალი თვიდან დაიწყება. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის გუშინდელი განცხადებიდან გახდა ცნობილი.

დავით სერგეენკოს თქმით, ხელისუფლებას აქვს სამოქმედო გეგმა და ამ ეტაპზე ბოლო დღეების ტესტირება ხდება.

– რჩება ერთი მთავარი გამოწვევა, რომ უნდა გაიზარდოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ამბულატორიულ მედიკამენტებზე ანუ მედიკამენტებზე, რომლებსაც ისინი ბინაზე იღებენ, საავადმყოფოში მისაღებ მედიკამენტებს კი სახელმწიფო უფინანსებს.

მე არაერთხელ განმიცხადებია, რომ გვაქვს სამოქმედო გეგმა. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ფაქტობრივად ბოლო დღეების ტესტირებას გავდივართ ამაზე და ალბათ შეგვეძლება მომავალი თვის განმავლობაში უკვე ეს პროექტი დავიწყოთ. ვგულისხმობ მედიკამენტებზე მიწვდომადობის გაზრდას, – განაცხადა სერგეენკომ.



მედიკამენტების განვადებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე სერგეენკომ უპასუხა, რომ არ იცის, ვის და საიდან დაებადა ეს აზრი.

– ასეთი მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება მისაღებია. თუმცა, შემიძლია ვუთხრა ჩვენ მოსახლეობას, რომ ამის საჭიროება ალბათ არ იქნება, იმიტომ რომ როგორც ადრე იყო, პენსიების ხარჯზე სესხის აღებამ ძალიან დიდი ტვირთი დააკისრა ჩვენს პენსიონერებს. შესაბამისად, ვეცდებით, მოსახლეობას მდგომარეობა შევუმსუბუქოთ, რომ არ დასჭირდეთ განვადება პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

◆ ◆ ◆

დავით სერგეენკო 200-ზე მეტი დასახელების მედიკამენტის მნიშვნელოვნად გაიაფებას ჯერ კიდევ მიმდინარე წლის სექტემბრისთვის პროგნოზირებდა. ამ შინაარსის განცხადება მან ივლისში გააკეთა. მინისტრი აცხადებდა, რომ ფასები არანაკლებ 50%-ით დაიწევდა, მომავალი წლისთვის კი მინისტრმა მოსახლეობას ათასამდე დასახელების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატების გაიაფების პირობაც მისცა.

პირველადი მოხმარების მედიკამენტების ზამთრის დადგომამდე გაიაფების დაპირება დავით სერგეენკომ ბოლოს გასულ თვეშიც გასცა. ოქტომბერში მინისტრმა განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე ფასი 200-მდე მედიკამენტზე შემცირდებოდა.

– ჯანდაცვის სამინისტრო ამ ეტაპზე ფასების ცვლილებას ვერ აკონტროლებს, მაგრამ დგამს ნაბიჯებს, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებული პირველადი მოხმარების წამლებზე შემოდგომის ბოლოს ფასებმა დაიწიოს. საუბარია ყველაზე ხშირად მოხმარებად მედიკამენტებზე, როგორიც არის მაღალი არტერიული წნევის დასარეგულირებელი საშუალებები, დიაბეტის დასარეგულირებელი და სხვა, – განაცხადა მაშინ ჯანდაცვის მინისტრმა.

ფასების გაიაფება დღემდე არ მომხდარა.

**კომერსანტ.გე**

# ირმა ნადირაშვილის მეუღლეს ანაბარზე 31.000 აშშ დოლარი აქვს




ირმა ნადირაშვილის მეუღლესა და დიდუბე-ჩუღურეთის ყოფილ გამგებელ დავით დალელაშვილს ანაბარი „რესპუბლიკა ბანკში“ აქვს გახსნილი.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დალელაშვილს ანაბარზე 31.000 აშშ დოლარი ჰქონდა.

ინფორმაციისთვის, დალელაშვილის სახელფასო ანაზღაურებამ გასულ წელს 54. 232 ლარი შეადგინა. აქედან 44.680 ლარი მას სახელფასო ანაზღაურების სახით, როგორც დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელს – ასე აქვს აღებული, ხოლო 9.552 ლარი – შპს „დეველომპმენტში“, უსაფრთხოების დეპარტამენტის ოპერატიულ სამსახურში მუშაობისთვის.

შეგახსენებთ, რომ დავით დალელაშვილს დიდუბე-ჩუღურეთის გამგებლის თანამდებობა თვითმმართველობის არჩევნებამდე ეკავა.

ნსპ.გე



# იოჰანეს ჰანი: „ტერორიზმთან ბრძოლაში საერთაშორისო საზოგადოება ერთად უნდა დადგეს“

გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანის განცხადებით, ტერორიზმთან ბრძოლაში საერთაშორისო საზოგადოება ერთად უნდა დადგეს.

ევროკომისარმა ეს განცხადება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეექვსე შეხვედრის მორიგი ეტაპის გახსნისას გააკეთა.

**იოჰანეს ჰანი:**

– ამ სახის ტერორიზმი თავისი სტრუქტურით არის ახალი და ის არ არის იმ სახის, რომლის წინაშეც წარსულშიც ვიდექით. არა მარტო ევროკავშირი, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოება ერთად უნდა დადგეს, რეაგირება მოახდინოს და ერთად ებრძოლოს ამ ახალ ფენომენს. ყველას კარგად ესმის, რომ ცალკე დგომა და ინიციატივები არ არის საკმარისი და ეს არ მოიტანს იმ შედეგებს, რასაც ველოდებით. ამიტომ, საერთაშორისო პარტნიორებმა ერთად უნდა იმუშაონ.

**ნიუსპრესი**

# რა ქონებას ფლობს დავით ბაქრაძე



დავით ბაქრაძის ოჯახის წლიურმა შემოსავალმა 159.565 ლარი და 1.950 აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 84.465 ლარი, სახელფასო ანაზღაურების სახით, ბაქრაძემ, როგორც პარლამენტის წევრმა, ასე აიღო. ასევე, გასულ წელს, 6 000 ლარი მას სახელმწიფო ჯილდოს სახით გადაეცა. მან საბანკო ანაბრის დივიდენდიც მიიღო, 1.950 აშშ დოლარის ოდენობით.

რაც შეეხება ოჯახის შემოსავლის დარჩენილ ნაწილს, 6.800 ლარი პარლამენტარის მეუღლე მაკა მეტრეველს „ჩაჩავას კლინიკაში“, მარკეტინგის დარგში დირექტორის თანაშემწედ მუშაობისთვის აქვს აღებული. მეტრეველმა შპს „დისიაისთან“ თანამშრომლობის შედეგად, 2014 წელს 700 ლარიც მიიღო.

პარლამენტარის დედის, ლილი ბაქრაძის, როგორც ინდივიდუალური მეწარმის შემოსავალმა კი 4.000 ლარი შეადგინა.

აქვე, ინფორმაციისთვის, პარლამენტარის ოჯახი უძრავი ქონების 4 ობიექტს ფლობს. აქედან ორი თავად დავით ბაქრაძის, ხოლო ორი მისი დედის, ლილი ბაქრაძის სახელზეა რეგისტრირებული.

გთავაზობთ პარლამენტარისა და მისი დედის საკუთრებაში არსებული ობიექტების ნუსხას:

- 213.00 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელი ბინა თბილისში;
- 28.00 კვ.მ ფართობის მქონე ავტოფარეხი თბილისში;
- 339.00 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი თბილისში;
- 287.00 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლი თბილისში.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან დავით ბაქრაძე პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით შესული დეპუტატი, ფრაქციის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრია.

ნსპ.გე

# ქუცნაშვილის მამამ ერთ შპს-სთან პარტნიორობით 99.662 ლარი იშოვა




საქართველოს პარლამენტის წევრ ზაქარია ქუცნაშვილის მამა სამი შპს-ს პარტნიორია. ოფიციალური ინფორმაციით, ომარ ქუცნაშვილი აღნიშნულ კომპანიებთან უკვე წლებია თანამშრომლობს. ერთ-ერთ მათგანთან, კერძოდ, შპს „ჯეოინჟინერინგთან“ საქმიანი ურთიერთობის შედეგად მან გასულ წელს 30.000 ლარის ოდენობის მოგება ნახა.

ზაქარია ქუცნაშვილის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მისი მამა შპს „აგრასა“ და შპს „ტექნოს“ პარტნიორიცაა, თუმცა ამ ორი კომპანიისგან გასულ წელს მოგება არ მიუღია.

ინფორმაციისთვის, პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, ომარ ქუცნაშვილს 2012 -2014 წლებში, შპს „ჯეოინჟინერინგთან“ პარტნიორობით, ჯამში 99. 662 ლარის მოგება აქვს მიღებული.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან ზაქარია ქუცნაშვილი თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატი და საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრია, 2014 წელს კი მისმა, როგორც დეპუტატის სახელფასო ანაზღაურებამ 44.000 ლარი შეადგინა.

ნსპ.გე

# რა უჯდება სპორტის სამინისტროს ქეიფი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2014 წელს 21.782 ლარის კვებითი და სარესტორნე მომსახურება შეისყიდა. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს ამ მიზნით ხარჯი იანვარში, თებერვალსა და აგვისტოში არ გაუღია; დანარჩენი 9 თვის განმავლობაში კი, კვებითი და სარესტორნე მომსახურების მიღების მიზნით, სხვადასხვა კომპანიის სერვისებით 22-ჯერ ისარგებლა.

**გთავაზობთ მონაცემებს სამინისტროს მიერ ამ მიზნით გაწეული ხარჯების შესახებ:**

იანვარი – 0 ლარი;
თებერვალი – 0 ლარი;
მარტი – 2.584 ლარი;
აპრილი – 2.359 ლარი;
მაისი – 769 ლარი;
ივნისი – 794 ლარი;
ივლისი – 3.497 ლარი;
აგვისტო – 0 ლარი;
სექტემბერი – 755 ლარი;
ოქტომბერი – 2.860 ლარი;
ნოემბერი – 2.105 ლარი;
დეკემბერი – 6.057 ლარი.

ინფორმაციისთვის, 2013 წელს კვებითი და სარესტორნე მომსახურების მიღების მიზნით სამინისტრომ 64.521 ლარი დახარჯა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 2015 წლის მაისამდე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ლევან ყიფიანი ხელმძღვანელობდა.

ნსპ.გე

# გიორგი მღებრიშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა



ბაქოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა.

გიორგი მღებრიშვილმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას. საქართველოს შს მინისტრმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ორი ქვეყნის შს სამინისტროების მჭიდრო თანამშრომლობაზე ისაუბრა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები განიხილეს.

საქართველოს შს მინისტრმა, დელეგაციის წევრებთან ერთად, აზერბაიჯანის ეროვნული გმირის, ჰეიდარ ალიევისა და მისი მეუღლის, ზარიფა ალიევას ხსოვნას პატივი მიაგო და მათი საფლავები გვირგვინით შეამკო. გიორგი მღებრიშვილმა ასევე გვირგვინით შეამკო „მარადიული ცეცხლის“ მემორიალი „შეჰიდების ხეივანში“.

# შსს-მ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 11 პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მეორე სამმართველოს (ახალციხე) №2 სასაზღვრო სექტორის (ვალე) დასაცავ მონაკვეთზე ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით 11 პირი დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

# შინაგან საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანელ კოლეგას შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფება. გიორგი მღებრიშვილმა პირველი შეხვედრა აზერბაიჯანის შს მინისტრ რამილ უსუბოვთან გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

გიორგი მღებრიშვილმა და რამილ უსუბოვმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ორგანიზებული დანაშაულის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. როგორც გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი მსოფლიო გამოწვევაა და ამ მხრივ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს შს მინისტრმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზეც ისაუბრა.

რამილ უსუბოვმა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა ორი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის გამო და ხაზი გაუსვა გამოცდილების ურთიერთგაზიარების საჭიროებას.

აზერბაიჯანის შს მინისტრმა უწყებების განვითარების მიზნით შსს-ს აკადემიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზეც ისაუბრა.

გიორგი მღებრიშვილმა და რამილ უსუბოვმა საქართველოსა და აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის დადებული ხელშეკრულებების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2015, 27 ნოემბერი, №279

# რუსეთმა თურქეთის ჰუმანიტარული ტვირთი დაბომბა




ასადის არმიამ ლატაკიაში ახალი შეტევა დაიწყო. პარალელურად რუსულმა ავიაციამ განახორციელა საჰაერო დარტყმა ქალაქ აზაზზე, რომელსაც ზომიერი სირიული ოპოზიცია აკონტროლებს.

საჰაერო თავდასხმის შედეგად განადგურებულია თურქული ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც აზაზში მოსახლეობის დასახმარებლად ჩაიტანეს. დაღუპულია 11 მძღოლი, რომელსაც ეს ტვირთი შეჰქონდა.

პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქეთში ჰუმანიტარული ტვირთის დაბომბვის ინფორმაციის შესწავლა მიმდინარეობს.

– სანამ სრული ინფორმაცია არ გვექნება, დასკვნებს ვერ გავაკეთებთ, – თქვა მან და დაამატა, რომ შეშფოთებას იწვევს რუსეთის მიერ სირიაში ეს-400 ტიპის რაკეტების განლაგება.

– ამ რაკეტებს ლატაკიაში თურქეთის საზღვრიდან 20 კმ-ის დაშორებით განალაგებენ. ეს უდავოდ ძალზე შემაშფოთებელი ფაქტია, – აცხადებს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.

# ობამამ ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტს ხელი მოაწერა



აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ ხელი მოაწერა ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტს, რომელიც სამხედრო ხარჯებისთვის უკრაინისთვის 300 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

ბიუჯეტის წინა ვარიანტი ობამამ დაიწუნა. კონგრესმენებმა მასში შესწორებები შეიტანეს. ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტის შემცირდა, თუმცა უკრაინისათვის გამოყოფილი თანხები უცვლელი დარჩა.

– უკრაინისთვის სამხედრო აუცილებლობაში როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ასევე რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წევრები ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ, – აცხადებს უკრაინის ელჩი აშშ-ში ჩალი.

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ამერიკის ხელისუფლებას ოფიციალურად მადლობა გადაუხადა.

– დიდი მადლობა ამერიკის მთავრობას, რომელიც ძნელბედობის ჟამს სამხედრო დახმარებას გვიწევს, – თქვა პოროშენკომ.

სამაგიეროდ, ობამას გადაწყვეტილებამ კრემლის რისხვა გამოიწვია. რუსეთის დუმის საგარეო კომიტეტის ხელმძღვანელმა პუშკოვმა განაცხადა:

– რადგან ამერიკამ უკრაინის შეიარაღება დაიწყო, ჩვენც შევაიარაღებთ ნიკარაგუას, კუბას ან სხვა ქვეყნებს, რომლებიც ამერიკის სიახლოვეს მდებარეობენ და ანტიამერიკულ პოზიციაზე დგანან. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ქვეყნები შესაძლოა ევრაზიული კავშირის წევრებიც გახდნენ, – თქვა პუშკოვმა.

# პოლონეთს რუსეთ–ნატოს ხელშეკრულების გაუქმება სურს



პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვეშჩიკოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთ-ნატოს ხელშეკრულება პარტნიორობის თაობაზე გასაუქმებელია.

მინისტრის აზრით, ის თანამედროვე რეალობებს არ შეესაბამება:

– სსრკ-ის დანგრევის შემდეგ დასავლეთმა რუსეთთან მეგობრობისა და პარტნიორობის გზა აირჩია. ამ დამღუპველი ტაქტიკის შედეგებს დღეს სრულად ვიმკით, – თქვა ვეშჩიკოვსკიმ.

პოლონელმა მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთის შოვინიზმის გაძლიერება კანონზომიერი მოვლენაა.

– რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფო ვერ აშენდა! რუსების უმრავლესობა დემოკრატიას სიღატაკესთან, კორუფციასთან, დამნაშავეობასთან და დიდი სახელმწიფოს დანგრევასთან აიგივებს! გამომდინარე აქედან, პუტინიც არჩევანის წინაშე დადგა: ან იმპერიულ-შოვინისტური ტენდენციების აღორძინება, ან ხელისუფლებიდან წასვლა. პუტინმა პირველი ვარიანტი აირჩია, – თქვა ვეშჩიკოვსკიმ.

# ფინელებმა ახალი საგზაო ნიშანი შექმნეს



ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში ახალი საგზაო ნიშანი გამოჩნდა იმ ადამიანების გასაფრთხილებლად, რომლებიც სიარულის დროს სმარტფონებითა და მობილური ტელეფონებით არიან გართულნი. წითელ-ყვითელი ფერის სამკუთხა საგზაო ნიშანზე გამოსახულია ფიგურები, რომლებიც ტელეფონით ხელში მოძრაობენ.

საგზაო ნიშანი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონ მუნკინიემიში იქნა განთავსებული, ხოლო განმარტებაზე აწერია „ადამიანები მობილურებით“. ეს საგზაო ნიშანი იაკობ სემპლერისა და ემილ ტიისმანის კრეატიულმა გუნდმა მას შემდეგ მოიგონა, როდესაც სემპლერი ავარიაში მოყვა, რისი მიზეზიც ის იყო, რომ ის საკუთარი სმარტფონით იყო გატაცებული.

იაკობის თქმით, ერთ-ერთ მეწარმეს სურდა, ფეხით მოსიარულენი საფრთხის თაობაზე გაეფრთხილებინა, რომელსაც ისინი საკუთარ თავს უქმნიან სიარულის დროს მთელი თავისი ყურადღების სმარტფონზე გადატანით.

# ამერიკელ ბავშვებს პროფესიონალი სპორტსმენობა სურთ



ერთ-ერთმა ამერიკულმა მედიარესურსმა გამოარკვია, რომ 2015 წელს ქვეყნის ბავშვების უმეტესობა პროფესიონალ სპორტსმენობას ესწრაფვის. გამოკითხვაში ათ წლამდე ასაკის 500-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

– ეს დამეხმარა იმის გაგებაში, თუ ვინ სურს გამოვიდეს ჩემს გოგონას, როდესაც დიდი გახდება. მე მას ყოველმხრივ მხარს დავუჭერ. მისი არჩევანი აისახება სათამაშოებსა და სხვა გასართობებზე, რომლებიც ჩვენს ოჯახში იქნება, – განაცხადა მედიარესურსის თანადამაარსებელმა ისსაკ საიმონმა.

მიღებული შედეგების ანალიზით გამოირკვა, რომ პოპულარობით მეორე ადგილზე ექიმის პროფესიაა. მესამე ადგილი დაიკავეს მათ, ვისაც ჯერ საკუთარი მომავალი ვერ გაურკვევია, ხოლო მომდევნო ადგილზე ისინი აღმოჩნდნენ, რომლებსაც მასწავლებლობა იტაცებთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კრასნოიარსკში რუსული ვერტმფრენი ჩამოვარდა



გუშინ, 26 ნოემბერს, კრასნოიარსკში ავარია განიცადა რუსულმა ვერტმფრენმა. მას ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისკენ მუშები გადაჰყავდა.

დაიღუპა 15 ადამიანი, 10 კი დაშავდა.

ამის შესახებ სატრანსპორტო პროკურატურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ოქსანა გორბუნოვამ განაცხადა.

რუსულმა ვერტმფრენმა მი-8-მ კატასტროფა კრასნოიარსკის ოლქის ტურუხანის რაიონში განიცადა. სატრანსპორტო პროკურატურის ინფორმაციით, ბორტზე 26 ადამიანი იმყოფებოდა.

# ჩინეთში ოპოზიციონერ ჟურნალისტს სასჯელი შეუმცირეს

ჩინეთში ოპოზიციონერი ჟურნალისტის გაო იუ-ს განმეორებითი სასამართლო შედგა. ხელისუფლება მას ბრალად შპიონაჟს სდებდა.

ჩინური მხარე ამტკიცებს, რომ გაო იუ-მ სახელმწიფო საიდუმლოება ერთ-ერთი უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენელს გადასცა.

პირველი სასამართლოს შედეგად გაო იუ-ს 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ახლა კი სასჯელი 2 წლით შეუმცირეს.

გაო იუ ციხეში დარჩება. მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

# ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მოლაპარაკებები დაიწყო



სოფელ ფხალმუნჯოში (სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საზღვარზე) კორეის ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებები დაიწყო.

მიზანი ფხენიანსა და სეულს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაა.

უკანასკნელ ხანს ორ კორეას შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. ადგილი ჰქონდა სამხედრო შეტაკებებსაც.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

## მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# ქუთაისის ტორპედო საპოვნელას ქუთაისში ესტუმრება

დღეს საქართველოს ჩემპიონატის მე-13 ტური იწყება, რომელიც 3 დღეს გასტანს. გამორჩეული მეგრული დერბია მარტვილსა და ზუგდიდს შორის, თუმცა ამ მატჩს ის უფრო აკნინებს, რომ ორივე გუნდი ცხრილის ფსკერზეა.

ჰო, საპოვნელა ქუთაისში ტორპედოს უმასპინძლებს.

**27 ნოემბერი:**
**ლოკომოტივი-დინამო (ბთ)**
**თბილისი. მიხეილ მესხი**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. ლოკომოტივი ახალგაზრდული გუნდია და ყველა მატჩში ბოლომდე იბრძვის. ერთია, სათამაშო კლასი ჯერ კიდევ არ ჰყოფნით, მაგრამ მათთან ქულების აღება იოლი არ არის.

ბათუმელებმა კი ცუდი სტარტის შემდეგ გამოისწორეს საქმე და ახლა ქულათა მარაგის შევსებას ცდილობენ, რათა ევროსაგზურის ზონას კიდევ უფრო მიუახლოვდნენ.

**28 ნოემბერი:**
**გურია-დინამო (თბ)**
**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

ძირძველი კლუბების მატჩში დიდი ინტრიგა არ არის მოსალოდნელი.



გურულები ისე ველარ ყოჩაღობენ, როგორც ადრე. თუმცა, მაშინაც კი, დინამოს უპირატესობა აშკარა იყო და ამაზე ურთიერთშეხვედრებიც მეტყველებს. დინამოელებს ეროვნულ ჩემპიონატში ლანჩხუთელთა წინააღმდეგ 27 მატჩი აქვთ გამართული, აქედან 20 მოგება, 4 ფრე და 3 მარცხი. ბურთების შეფარდებაც 78:19 დინამოელთა სასარგებლოდ არის.

ფავორიტი ხვალაც დინამო იქნება, რომელსაც წელს ყველა ქართულ ტურნირზე ტიტულის მოგება აქვს დაგეგმილი, ლანჩხუთელთა ამოცანა კი მოკრძალებულია – შეინარჩუნონ ადგილი უმაღლეს ლიგაში.

**სამტრედია-კოლხეთი**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

ბოლო ტურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კოლხები უკეთეს ფორმაში არიან. სამტრედიამ სეზონი უკეთ დაიწყო, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ცხრილის სხვადასხვა პოლუსზე მყოფი გუნდები ახლა შუაგულში გვერდიგვერდ მოკალათდნენ და თუ ფოთელები ხვალაც მოიგებენ, სულაც გადაასწრებენ მეტოქეს.

**სიონი-ჩიხურა**
**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

სიონი ჩემპიონატის აღმოჩენად იქცა. გასულ წელს ელიტაში დასარჩენად მებრძოლი, ახლა ევროსაგზურებისთვის იბრძვის. საკმაოდ სიმპათიურმა გუნდმა რამდენიმე კარგი მატჩი ჩაატარა და დიდხანს მე-2 ადგილზეც იყო, მაგრამ წინა ტურში უშუალო კონკურენტ ცხინვალთან დამარცხდა და არამარტო გორის დილას ჩამორჩა. არამედ ცხინვალელებსაც მისცა წამოწევის საშუალება.

სიონი რეაბილიტაციას ჩიხურასთან ეცდება, რადგან მარცხის შემთხვევაში უკვე საჩხერელებიც წამოეწევიან და ევროსაგზურებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გართულდება.

**შუქურა-ცხინვალი**
**ქობულეთი. ჩელე არენა**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს ქობულეთშიც. ორივე გუნდი ევროსაგზურისთვის იბრძვის. ამიტომაც უფრო 6-ქულიანი მატჩია, ვიდრე – 3-ქულიანი. სეზონის ბოლოს ერთმანეთში შეხვედრები ბევრ რამეს გადაწყვეტს.

ზღვისპირელებს საკუთარი მოედანიც აძლევთ უპირატესობას და გამარჯვების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეამცირებენ სხვაობას უშუალო კონკურენტთან.

**საპოვნელა-ტორპედო**
**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

ქართული ფეხბურთის მორიგი კურიოზი – თერჯოლის საპოვნელა ქუთაისის ტორპედოს ქუთაისში უმასპინძლებს.

თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ საკუთარი სტადიონი ტორპედოს რამე უპირატესობას მისცემს. რიონისპირელები სეზონის ყველაზე ამოუცნობი გუნდია და ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო მათი ასეთი სუსტი თამაში.

ალექსანდრე შტელინის გუნდი გასავარდნი ზონის ზღვარზეა და მხოლოდ ის თუ გადაარჩენს, რომ 4 გუნდი კიდევ უფრო სუსტად გამოიყურება. ერთ-ერთი სწორედ საპოვნელაა და ტორპედომ აქაც თუ ვერ აკრიფა ქულები, დიდი შანსია, დაქვეითდეს.

**მერანი-ზუგდიდი**
**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

მეგრული დერბი, ორი აუტსაიდერის ჯახი – ეს ყველაფერი მატჩს დამატებით ინტრიგას აძლევს, მაგრამ გუნდები უფრო გადარჩენისთვის იბრძვიან და 3 ქულა მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არის.

**29 ნოემბერი:**
**საბურთალო-დილა**
**თბილისი. ბენდელა**

ახალგაზრდული საბურთალო გამოცდილი დილას წინააღმდეგ. დედაქალაქელები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ სადებიუტო სეზონში, ხოლო დილას მაღალი ამბიციები აქვს.

ფავორიტი დილაა, მაგრამ საბურთალოს მებრძოლი სული თითქმის ყველა მატჩში ჩანს. პლუს, შესაძლოა, მატჩზე არნემის ვიტესის დამკვირვებლები ჩამოვიდნენ, რადგან გავრცელებული ხმებით ჰოლანდიელები ორივე გუნდის რამდენიმე ფეხბურთელით არიან დაინტერესებულნი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 12 | 10 | 1 | 1 | 33-10 | 31 |
| 2.დილა | 12 | 9 | 1 | 2 | 24-10 | 28 |
| 3.სიონი | 12 | 8 | 2 | 2 | 25-12 | 26 |
| 4.ცხინვალი | 12 | 8 | 1 | 3 | 27-16 | 25 |
| 5.ჩიხურა | 12 | 6 | 2 | 4 | 19-8 | 20 |
| 6.შუქურა | 12 | 6 | 2 | 4 | 14-10 | 20 |
| 7.დინამო (ბთ) | 12 | 5 | 4 | 3 | 20-13 | 19 |
| 8.საბურთალო | 12 | 6 | 1 | 5 | 17-18 | 19 |
| 9.სამტრედია | 12 | 6 | 1 | 5 | 26-18 | 19 |
| 10.კოლხეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 12-17 | 16 |
| 11.ლოკომოტივი | 12 | 4 | 1 | 7 | 16-18 | 13 |
| 12.ტორპედო | 12 | 3 | 4 | 5 | 14-21 | 13 |
| 13.გურია | 12 | 2 | 3 | 7 | 10-23 | 9 |
| 14.საპოვნელა | 12 | 2 | 2 | 8 | 9-26 | 8 |
| 15.ზუგდიდი | 12 | 1 | 2 | 9 | 11-33 | 5 |
| 16.მერანი | 12 | 1 | 0 | 11 | 10-34 | 3 |

## შედეგები

**ფეხბურთი**
**25 ნოემბერი**
**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ასტანა-ბენფიკა ........................... 2:2
ცსკა-ვოლფსბურგი ...................... 0:2
ატლეტიკო-გალათასარაი ........... 2:0
გლადბახი-სევილია ..................... 4:2
იუვენტუსი-სიტი ......................... 1:0
მალმიო-პსჟ ................................. 0:5
მანჩესტერი-პსვ ........................... 0:0
შახტარი-რეალი ........................... 3:4

**კალათბურთი**
**26 ნოემბერი**
**ნბა. რეგულარული სეზონი**

შარლოტი-ვაშინგტონი ......... 101:87
ორლანდო-ნიუ იორკი ........... 100:91
ბოსტონი-ფილადელფია .......... 84:80
დეტროიტი-მაიამი ................ 104:81
ტორონტო-კლივლენდი ......... 103:99
ჰიუსტონი-მემფისი ............... 93:102
მილუოკი-საკრამენტო.......... 118:129
მინესოტა-ატლანტა ................ 99:95
ოკლაჰომა-ბრუკლინი ........... 110:99
სან ანტონიო-დალასი ............. 88:83
ზაზა ფაჩულია: 4 ქულა
ფენიქსი-ნიუ ორლეანი ........ 114:120
კლიპერსი-იუტა ..................... 91:102

# კრიშტიანო რონალდუ: „ალექს ფერგიუსონი ჩემს კარიერაში საუკეთესო მწვრთნელია“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვსაუბრობ, სიამაყეს ვგრძნობ. ასე რომ, ამის გამო უბედური არ ვარ.

***– თქვენს შვილს ფეხბურთელობა, კონკრეტულად კი მეკარეობა სურს.***

– დიახ, ეს ჩემთვის პრობლემაა, ის ყოველ წუთს იცვლის აზრებს. 5 წლისაა და ხან რა სურს და ხან რა. არასოდეს არაფერი დამიძალებია მისთვის, რადგან თავადაც არასოდეს მაძალებდნენ მშობლები. დაე, გაიზარდოს და თავად გადაწყვიტოს.

***– რას გვეტყვით იმ ხალხზე, რომლებსაც ცუდი ურთიერთობა აქვთ დედებთან?***

– ადამიანი, რომელიც საკუთარ დედას პატივს არ სცემს... ასეთი ადამიანი ჩემ გვერდით ვერ იქნება.

***– დედათქვენი ძალიან ნერვიულობს თქვენი თამაშებისას. დამაწყნარებელსაც ხშირად იღებს ამის გამო.***

– მე მას ასეთი წესი დავუსახე – დიდ მატჩებს ის, უბრალოდ, არ უყურებს. არ მიმყავს სტადიონზე, სახლშიც ვიღაცას ვტოვებ მასთან.

ჩემზე ძალიან ხშირად საუბრობენ, ზოგჯერ მაკრიტიკებენ. როცა ტელევიზორს უყურებ და პრესას ეცნობი, ამ ყველაფერს ნახულობ. უფრო ნერვული ხდები, შენზე უფრო მოქმედებს ნებისმიერი სიახლე. ამიტომაც ტელევიზორს არ ვუყურებ, არ ვკითხულობ გაზეთებს და ამიტომაც კომფორტულად ვცხოვრობ.

ჩემი ცხოვრებით ვტკბები, ვვარჯიშობ ბევრს, ვთამაშობ უკეთ და უკეთ, როგორც შემიძლია და ეს კარგია. არანაირ ზეწოლას არ განვიცდი, დაე, წერონ, ვისაც რა სურს.

***– თქვენი შვილი დედასთან არ იზრდება.***

– ეს, ალბათ, არ არის იოლი, თუმცა, ჩემთვის მთავარია, მან კარგი განათლება მიიღოს. თუ ამას შევძლებ, ის ძლიერი იქნება და ბევრ წინაღობას დაძლევს ცხოვრებაში.

ვერ შევძლებ, დავუმალო მას კარგი მანქანები, სახლები, კარგი ცხოვრება. ყოველთვის ვეუბნები, რომ მამა ბევრს მუშაობს, რათა ჰქონდეს კარგი მანქანა, სახლი. დედაც და ძმებიც მეხმარებიან ამაში. ასე რომ, მან უკვე იცის შრომის მნიშვნელობა, რომ იოლად არაფერი მოდის ამქვეყნად. გაიზრდება და უკეთ ავუხსნი ცხოვრების არსს, ვესაუბრები ისეთ რამეებზეც, რაც არ არის სწორი.

მერე რა, რომ უდედოდ იზრდება? ჩემთვის ეს არ არის პრობლემა. ბევრ ბავშვს არ ჰყავს დედა ან მამა, ან ორივე. კრიშტიანოს ჰყავს მამა, საოცარი მამა. ჰყავს ბებია. ადამიანებს აქვთ უფლება, პირადი ცხოვრების ნაწილი თავიანთთვის შეინახონ. როცა კრიშტიანო გაიზრდება, ის ბევრ რამეს გაიგებს, მაგრამ, არა იმიტომ, რომ ხალხს სურს ეს, არამედ იმიტომ, რომ ის ამას იმსახურებს.

***– ეტყვით თუ არა შვილს, ვინ არის დედა?***

– აუცილებლად და, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ გამიგებს. როდის ვეტყვი? როცა მივხვდები, რომ დროა. 10, 11, 12 წლის რომ იქნება? ვნახოთ, ვნახოთ.

***– არის თუ არა ვინმე თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული?***



– რამდენიმე ადამიანი. უნდა მივხვდე, ვინ არის უკეთესი.

***– როგორ უნდა იპოვოთ ქალი ურთიერთობისთვის?***

– მარტო მე არა, ყველა პოპულარულ ადამიანს აქვს ეს პრობლემა, ბევრი მხოლოდ ამ პოპულარობასა და ფულს შენატრის. მაგრამ მე საკუთარ თავში დარწმუნებული ბიჭი ვარ. მაღალი ვარ, კარგი ტანი მაქვს, ამიტომ, ვიცი, რომ 50%-ს მაინც სწორედ მე მოვწონვარ და არა ჩემი პოპულარობა ან ფული.

***– ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელობაზე არ ფიქრობთ?***

– არა და არა, ჩემს ბრენდებში ვიღვაწებ, ბიზნესში დავკავდები და ბრენდების განვითარებაზე ვიზრუნებ.

***– ვინ მოიგებს წელს „ოქროს ბურთს“?***

– ჩემი აზრით, ლეო მესი მოიგებს, რადგან ეს ტიტული ხმების მიცემით წყდება. როცა ჩემპიონთა ლიგას იგებ, ამ პრიზის მოგების შანსი მეტი გაქვს. გასულ სეზონში, ალბათ, საუკეთესო დრო მქონდა კარიერაში, რაც ბრწყინვალეა და ევროპაში ყველაზე მეტი გოლი მე გავიტანე, მაგრამ მესის გუნდმა მოიგო ლიგა.

***– მესისთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?***

– კარგი ურთიერთობა გვაქვს. არ ვართ საუკეთესო მეგობრები, მაგრამ ერთმანეთს პატივს ვცემთ.

***– რომელ ინგლისურ გუნდს ქომაგობთ?***

– რეალში თავს კომფორტულად ვგრძნობ, მაგრამ ხალხმა იცის, როგორ მიყვარს მანჩესტერ იუნაიტედი. მომავალში რა იქნება, არავინ იცის, ახლა კი რეალის ფეხბურთელი ვარ.

***– კარიერის ბოლოს ამერიკაში ან დუბაიში თამაშზე ხომ არ ფიქრობთ?***

– მინდა, უმაღლეს დონეზე დავასრულო კარიერა, კარგ კლუბში. ეს არ ნიშნავს, რომ აშშ-ს, ყატარს ან დუბაის ვაკნინებ. უბრალოდ, იქ ჩემს თავს ვერ ვხედავ.

# ყოველწლიური დილემა: მესი თუ რონალდუ

2015 წლის 30 ნოემბერს „ოქროს ბურთისთვის“ მებრძოლ საუკეთესო სამეულს დაასახელებენ. სამეული 23 ფეხბურთელიდან შერჩევა, მისი მფლობელი კი საბოლოოდ, მომავალი წლის 11 იანვარს, ციურიხში, ფიფას გალადაჯილდოებაზე გამოვლინდება.

ცხადია, კონკურენტი კვლავ ორი ჩანს – ბარსელონის არგენტინელი შემტევი ლეო მესი და მადრიდის რეალის პორტუგალიელი ფორვარდი კრიშტიანო რონალდუ.

ბოლო დღეებია, არ წყდება საუბარი, თუ ვინ შეიძლება გახდეს „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

თავად არგენტინელმა ფეხბურთელმა „ოქროს ბურთის“ მაძიებელთა სიაში კრიშტიანო რონალდუ არ შეიყვანა.

**ლეო მესი:**

– ვისურვებდი, ამ ტიტულისთვის ნეიმარმა, ლუის სუარესმა და მე ვიბრძოლოთ, თუმცა არ ვაპირებთ, მხოლოდ ამაზე გადავერთოთ. დარწმუნებული ვარ, ისინიც ასე ფიქრობენ.

ერთი გუნდიდან სამეული – ასეთი რამ ბოლოს 2010 წელს მოხდა. მაშინ საუკეთესო ლიონელ მესი გახდა, მეორე ადგილზე ანდრეს ინიესტა გავიდა, ხოლო მესამეზე – ჩავი ერნანდესი.

სხვა აზრის არის ლეგენდარული გერმანელი მეკარე ოლივერ კანი, რომელიც მიიჩნევს, რომ 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს რონალდუ მიიღებს.

**ოლივერ კანი:**

– სავარაუდოდ, ბრძოლა კვლავ მესისა და რონალდუს შორის გაიმართება. მესიმ შესანიშნავი სეზონი ჩაატარა, რონალდუმ კი ბევრი გოლი გაიტანა. ვფიქრობ, გამარჯვებული ისევ რონალდუ გახდება, რომელმაც საკუთარ თავს მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა. შეგიძლიათ, მას ამაში ბრალი დასდოთ?

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა რობერტ ლევანდოვსკიმ კი პრესასთან ინტერვიუში აღიარა, რომ არ შეუძლია, მესი და რონალდუ ერთმანეთს შეადაროს.

**რობერტ ლევანდოვსკი:**

– არ შემიძლია ვთქვა, რომელია უფრო ძლიერი – რონალდუ თუ მესი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ორივე სუპერვარსკვლავია. ეს შედარება უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და



კიდევ დიდი ხანი გაგრძელდება. ნათელია, რომ ორივე ფეხბურთელი თავიანთ გუნდებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სრულიად განსხვავებული აზრი გააჩნია ბარსელონის ყოფილ ნახევარმცველ ხუან რომან რიკელმეს:

– ბარსელონის შემადგენლობაში ბევრი ვარსკვლავი თამაშობს. ასევე გამორჩეულია რონალდუც. მესი და რონალდუ ძალიან ბევრს იტანენ, მაგრამ საუკეთესო ინიესტაა. მას შეუძლია გასწავლოს, თუ როგორ უნდა ითამაშო ფეხბურთი.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# სახალხო დამცველი იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტს გმობს



საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტის შესწავლა დაიწყო.

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროში ზემოაღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება) მიმდინარეობს.

– გავრცელებული ინფორმაციით, 23 ნოემბერს, დაახლოებით ღამის 11 საათზე, თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზს უცნობმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან 15 ტყვია ესროლეს. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანებულია შენობის კედლები და ჩამსხვრეულია შუშები. იეჰოვას მოწმეები აღნიშნული შენობის დაზიანების წარსულში მომხდარ სხვა ფაქტებზეც მიუთითებენ, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

სახალხო დამცველი იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტს გმობს და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, აწარმოონ სწრაფი და ეფექტური გამოძიება ინციდენტში მონაწილე პირების გამოვლენისა და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების მიზნით.

ამასთან, სახალხო დამცველის განცხადებით, გამოძიების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმის გამორკვევაზე, ხომ არ იყო აღნიშნული დანაშაული ჩადენილი რელიგიური სიძულვილის მოტივით.

სახალხო დამცველი გამოძიების მიმდინარეობას თვალყურს მიადევნებს.

**ნიუსპრესი**

# ძაღლმა პატრონის ქორწილი ვიდეოზე გადაიღო



ამერიკაში ჰასკის ჯიშის ძაღლმა, სახელად რაიდერმა, ქორწილის ვიდეო თავისი პატრონების მარშალ და ედი ბერნეტებისთვის „გადაიღო“. საქორწინო ცერემონია 2014 წლის ზამთარში შედგა, მაგრამ მის დამონტაჟებას დრო დასჭირდა.

– ჩვენი ძაღლი, რაიდერი, მოითხოვდა, რომ ამ ვიდეოს ოპერატორი თავად ყოფილიყო და მან საქმეს კარგად გაართვა თავი, – დაწერა იუთუბიზე კლიპის კომენტარში ედი ბერნეტმა.

ახლადდაქორწინებულებმა ვიდეოკამერა თავიანთ საყვარელ შინაურ ცხოველს ზურგზე დაამაგრეს და ჩაწერაზე დააყენეს, საქორწინო ცერემონიისთვის მზადების პერიოდში, სტუმრები კი თვალს ადევნებდნენ რაიდერს, რათა საზეიმო ცერემონიის დროს არ გაქცეულიყო და სიძე-პატარძლის კოცნა დაეფიქსირებინა.

ვიდეორგოლმა სახელწოდებით „ჩვენი თოვლიანი ქორწილი (ჩვენი ძაღლის თვალით დანახული)“ იუთუბიზე 340 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

# კახა კალაძე: „2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს სათანადოდ მომზადებული შევხვდებით“



„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ქვეყნის მასშტაბით საოლქო კონფერენციებს ატარებს.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ და აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ საოლქო ორგანიზაციების კონფერენცია სენაკის მუნიციპალიტეტში გახსნეს.

**კახა კალაძე:**

– ჩვენ ვაგრძელებთ მთელი საქართველოს მასშტაბით საოლქო ორგანიზაციების კონფერენციების ჩატარებას. დღეს ვიმყოფებით სენაკის მუნიციპალიტეტში. მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი მოლოდინი იყო ამ შეხვედრასთან დაკავშირებით, უამრავი წერილი შემოდიოდა რეგიონებიდან, სადაც ჩვენი მხარდამჭერები მოგვმართავდნენ კითხვით, თუ როდის გაიმართებოდა საოლქო ორგანიზაციების კონფერენციები.

ჩვენ აქტიურად დავიწყეთ მუშაობა პარტიის გაძლიერებაზე, პარტიის სტრუქტურულად ჩამოყალიბებაზე და ვფიქრობ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს სათანადოდ მომზადებული შევხვდებით.

**მედიანიუსი**



# ქალმა ერთ კვირაში 11 სვირინგი გაიკეთა



ამერიკელმა ქალმა კეისი ლუბინმა ისტორიული ვიდეოპროექტისთვის ერთი კვირის განმავლობაში 11 სვირინგი გაიკეთა. ოჰაიოელი მოდელის ვიდეო იუთუბიზე 23 ნოემბერს გამოქვეყნდა და დღეისათვის 290 ათასი ნახვა მოაგროვა.

სვირინგებით სხეულის მოხატვაზე პასუხისმგებელი ოსტატი კლეი ეულჩი იყო. აღსანიშნავია, რომ ლუბინის სხეულზე გაკეთებული ყოველი ნახატი ამერიკული სვირინგის ბოლო 100-წლიანი ისტორიის ერთ-ერთ ეპოქას გამოხატავს. მაგალითად, 1910 წელი წარმოდგენილია ჩარლი ვაგნერის სურათით, 1940 წელი – პოლ როჯერსით, 1960 – ლაილა ტატალით, ხოლო 2000 წელი – ჯეკ რუდით.

ყველა სვირინგი მოდელმა შეთავაზებულ ვარიანტებს შორის თავად შეარჩია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

*სპორტი*

# ფაჩულიას შეწყვეტილი სერია

ზედიზედ შესრულებული 4 ორმაგი დუბლის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ წარმატებული სერია შეწყვიტა. დალას მავერიკსი ტეხასურ დერბიში სან ანტონიოს ეწვია და სპურსთან დაძაბულ ბრძოლაში 83:88 წააგო. მატჩი ქართველი ცენტრისთვის სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უშედეგო გამოდგა. ზაზამ 4 ქულა მიითვალა და, რაც ყველაზე მოულოდნელია, ერთი მოხსნაც არ ჰქონია.

სან ანტონიო დაცვით კალათბურთს ქადაგებს და ეს საკუთარ თავზე გამოცადა ფაჩულიამ, რომელმაც მოედანზე გატარებულ 21 წუთში ფარიდან ასხლეტილი ბურთი ვერ მოიხელთა და მხოლოდ 4 ქულას დასჯერდა. ფაჩულიამ 4-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

უშუალო კონკურენტთან მარცხმა დალასელები სან ანტონიოს დასავლეთ კონფერენციის ცხრილში დააშორა. 9 მოგებითა და 7 მარცხით ფაჩულიას გუნდი მე-5 ადგილზე დაქვეითდა, მემფისს გაუთანაბრდა და ოკლაჰომა გაუშვა წინ.

დალასი მორიგ მატჩს 29 ნოემბერს დენვერ ნაგიტსთან შინაურ არენაზე გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ბრიტანელებმა 23-კარატიანი ოქროს საშობაო პუდინგი მოამზადეს



დიდ ბრიტანეთში ტრადიციული საშობაო პუდინგი დაამზადეს, რომლის ღირებულება 10 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს. ამ დესერტის ავტორია მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი შეფმზარეული მეთ ვორსვიკი. მან ისეთი ინგრედიენტები გამოიყენა, როგორებიცაა 23-კარატიანი ფურცლოვანი ოქრო და ელიტური ბრენდი.

28 წლის ვორსვიკმა განაცხადა, რომ რაიმე მაქსიმალურად ექსტრავაგანტურის შექმნა სურდა.

– ეჭვგარეშეა, რომ ეს ყველაზე ძვირადღირებული კერძია მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე მომიმზადებია, – განაცხადა მან.

საბოლოო პროდუქტის ღირებულება 10 ათას ფუნტს შეადგენს, მაგრამ მასში გამოყენებული ინგრედიენტები კიდევ უფრო ძვირია. მასში შემავალი ყველა ინგრედიენტის შესაძენად 16 ათასი ფუნტია საჭირო, გარდა ამისა, პუდინგის მომზადებას დიდი დრო მიაქვს, ორი საათი, სუსტად დუღილზე მომზადებას – კიდევ რვა საათი. როგორც თავად მზარეულმა აღნიშნა, ის ამაყობს საკუთარი შემოქმედებით.

# ასტროპროგნოზი

## 27 ნოემბრისათვის



**ვერძი** – შესაფერისი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. ენთუზიაზმი და შრომისმოყვარეობა პარტნიორებს თქვენდამი ნდობით განაწყობს. **კურო** – დღეს კარგია ნებისმიერი ტიპის მოგზაურობა, ახალი ნაცნობობა, შეხვედრა ძველ მეგობრებთან. ფინანსები დაზოგეთ. **ტყუპები** – თქვენი დიპლომატიური ნიჭი დაგეხმარებათ ახლობლებთან კონფლიქტური სიტუაციის თავიდან არიდებაში. ეგოიზმი და პირადი ინტერესები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **კირჩხიბი** – სურვილების დაკმაყოფილებისთვის საკმაო თანხა დაგჭირდებათ. ზომიერება დაიცავით, გაითვალისწინეთ საკუთარი შესაძლებლობები. **ლომი** – დასამახსოვრებელი დღეა. სიკეთე და დიდსულოვნება პარტნიორებთან ურთიერთობაში ძალიან დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად. **ქალწული** – თავს მსუბუქად და ლაღად გრძნობთ. ოჯახში სრული იდილია სუფევს. თავს დასვენების უფლება მიეცით. **სასწორი** – მოსალოდნელია სასიამოვნო სიახლეები, კონტაქტები და ახალი ნაცნობობა. ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა ძალები უთუოდ უნდა დაზოგოთ. **ღრიანკალი** – სიძნელეებს მშვენივრად უმკლავდებით, რასაც მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება მოჰყვება. გელით საქმიანი და პირადი შეხვედრები. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობებისათვის, ახალი საქმის დასაწყებად. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. შესაძლოა, საინტერესო ადამიანი გაიცნოთ. **თხის რქა** – აგრესიული დღეა. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებსა და საქმის გარჩევებს. ახალი ნაცნობობა, არასაიმედო ადამიანებთან ურთიერთობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – ახალი საქმეები შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. ინიციატივას ხელიდან ნუ გაუშვებთ. უკან არ დაიხიოთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. ეცადეთ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, ემოციებს არ აჰყვეთ და ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. ნეგატიური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 11. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 12. თმის გამკრეჭი, წვერის მპარსავი ძველად; 14. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. გადასახადებისგან გათავისუფლებული ყმა; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. წვრილი წვიმა; 22. უნგრული ღვინო.

**თარაზულად**: 6. საეკლესიო წესების კრებული; 7. ქართული ჩაი; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. მთათა სახელწოდება შუა აზიაში; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. სამონასტრო კომპლექსი ქსნის ხეობაში; 20. ჯიხვების ჯოგი; 21. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კუბერტენი. 2. პაპაინი; 3. „გინესი“; 4. პლაკე; 5. ღვინიო; 11. კენკრა; 12. ბუტიკი; 14. დუყი; 16. პარსეკი; 17. იშტვანი; 19. თერაპია; 21. მტილი; 22. „ტოსკა“.

**თარაზულად:** 6. მურყვამი; 7. პოლტავა; 8. კუკნა; 9. კრეოლი; 10. „სარკე“; 13. ანოდი; 15. აპლიკატურა; 18. ბასკეთი; 20. შუნი; 21. მანეჟი; 23. მიკროსკოპი; 24. ნოველა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 2. სინჯი; 3. ტვისტი; 5. ტუსკი; 6. კუპიდონი; 8. პრეფერანსი; 10. „ცისკარი“; 12. ბონდერი; 14. კეხურა; 15. ბატიკა; 16. „ოჰარა“.

**თარაზულად:** 1. „ჰენესი“; 4. სტატიკა; 7. „ჰუნდაი“; 9. ტონიკი; 11. თერაპია; 12. ბარიტონი; 13. აკვანი; 17. პრერია; 18. „ანსა“; 19. ფრენბურთი; 20. სიბარიტი.

# მარიტა როხვაძე ჭორიკნებმა დაღალეს

მომღერალი მარიტა როხვაძე ჭორიკნებმა დაღალეს. ჯეოსტარის გამარჯვებული, რომელიც ამჟამად ტელეკომპანია „მარაოს“ ერთ-ერთი გადაცემის, „კოქტეილის“ წამყვანია და ცნობილ ადამიანებთან ჭორების გადამოწმებით არის დაკავებული, თავადაც არაერთხელ გამხდარა ცნობისმოყვარე და ჭორიკანა ადამიანების მსხვერპლი.

**მარიტა როხვაძე:**

– რატომღაც მომინდა, თვალი გადამევლო ჩემი ინტერვიუებისთვის და უბრალოდ ზოგიერთი მოგონილი სტატიებისთვის, სადაც თავიანთი სურვილით წერენ ხოლმე საოცარ ამბებს და მე არც კი მეკითხებიან. მოკლედ, ჩავუჯექი გემრიელად და.....

აი, ინტერვიუს ბოლოს რომ კომენტარებს ტოვებენ, გაოცებული და გულამოვარდნილი ვკითხულობდი თითოეულ სიტყვას, ზოგიერთს რამდენჯერმე, ხომ არ მეჩვენება-თქო?!

ადამიანებმა, რომლებიც არ მიცნობთ, არ იცით, რა მილხინს და რა მიჭირს, რა მიყვარს და ვინ მიყვარს, საერთოდ როგორი ვარ, როგორ შეგიძლიათ ასეთი ბოროტული რაღაცები დაწეროთ?! მართლაც რომ ენას ძვალი არ აქვს!!!

მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც ჩემი კარგი გიხარიათ, მამხნევებთ, ეკამათებით იმ კომენტარებში ბოროტ ენებს და უბრალოდ გიყვართ მარიტა! მადლობა თქვენ, ჩემო კარგო ადამიანებო იმისთვის, რომ უდიდესი სიყვარულით მიიღეთ ქუთაისელი გოგონა და არ იშურებთ კომპლიმენტებს! მე თქვენ მაძლიერებთ და მაფერადებთ!

მაძლიერებთ თქვენც ბოროტო ენებო. უფრო მეტს გავაკეთებ და წარმატებული ვიქნები თქვენს ჯინაზე. თქვენ ყოველთვის კლავიატურას ამოფარებულები იქნებით!!!

ერთ რჩევას მოგცემთ...

გაიღიმეთ, გიყვარდეთ და იცხოვრეთ საკუთარი ცხოვრებით!!! ცხოვრება ხომ ასე მშვენიერია.



# პოლ უოკერის მამა პორშეს უჩივის



ჰოლივუდის მსახიობ პოლ უოკერის მამა, ბიზნესმენი პოლ უოკერ III აპირებს, სარჩელი შეიტანოს ავტოკონცერნ პორშეს წინააღმდეგ, რომელშიც ის კომპანიას უყურადღებობაში ადანაშაულებს, რამაც ავტოკატასტროფაში მისი შვილის დაღუპვა გამოიწვია.

მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ავტომობილი პორშე კარერა ჯთ, რომლითაც მისი შვილი პოლ უოკერი უმცროსი გადაადგილდებოდა, უსაფრთხოების დაცვის სათანადო მოწყობილობებით არ იყო აღჭურვილი. სარჩელში ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაცაა, თუმცა თანხა არ არის დასახელებული.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 30 ნოემბერს პოლ უოკერი თავის მეგობარ როჯერ როდასთან ერთად ავტოკატასტროფაში მოყვა. გაურკვეველი მიზეზით მისმა ავტომობილმა პორშე კარერა ჯთ-მ მართვა დაკარგა, მონაცვლეობით სამ ხეს დაეჯახა და აფეთქდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# გია ყანჩელის საიუბილეო კონცერტი ბაქოში გაიმართება



გია ყანჩელის 80 წლის იუბილე მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საიუბილეო ღონისძიებებით აღინიშნება. 2015 წელი გია ყანჩელის წლად არის გამოცხადებული.

ბერლინის, სტრასბურგის, ბრიუსელის, ტალინისა და კიევის შემდეგ ქართველი კომპოზიტორის იუბილეს ბაქოშიც აღნიშნავენ. აზერბაიჯანის დედაქალაქში კონცერტი 27 ნოემბერს გაიმართება.

ბაქოში სპეციალური სტუმრების სტატუსით მიწვეული არიან დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი და ალტისტი გიორგი ცაგარელი.



**ნიკოლოზ რაჭველი:**

– მე და გიორგი ცაგარელი გამოვდივართ აზერბაიჯანის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად... სადღესასწაულოდ აღინიშნება გია ყანჩელის იუბილე!

გვაცხოვრებენ საოცარ სასტუმროში, რეპეტიციებზე დაგვატარებენ გალაპლაპებული შავი მერსედესებით და თან ცალ-ცალკე. ეტყობა, აქ ასეთი წესია, გზაში ერთმანეთი ლაპარაკით რომ არ შევაწუხოთ...

ორკესტრი საკმაოდ მომზადებული დაგვახვედრეს, გუნდიც კარგად მღერის, ბილეთები აღარ არის და ძლივს ვშოულობთ მოსაწვევებს ადგილობრივი მეგობრებისთვის...

ბერლინის, სტრასბურგის, ბრიუსელის, ტალინისა და კიევის შემდეგ ბაქოს პუბლიკას შევხვდებით და იმედია, ისევე გულთბილად მიგვიღებენ, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში.

თბილისში კი დეკემბერში გვექნება გამოსვლები... ამაზე დეტალურად ცოტა გვიან მოგიყვებით...

# თამაზ ვაშაკიძე საქართველოში დაბრუნებას ითხოვს



ქორეოგრაფი თამაზ ვაშაკიძე, რომელიც 10 წელია, საქართველოდან იძულებით არის წასული, სამშობლოში დაბრუნებას ითხოვს.

ვახტანგ ჭაბუკიანის მოსწავლე დახმარებას საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს და, საჯარო წერილთან ერთად, ყველა იმ დოკუმენტაციას აქვეყნებს, რომლითაც წლებია, თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს.

რუსეთში მყოფი ქორეოგრაფი ღია წერილს პრემიერმინისტრს უგზავნის.

**თამაზ ვაშაკიძე:**

– იძულებული ვარ, მოგმართოთ დახმარებისთვის საკითხში, რომელიც ჩემთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. გთხოვთ სამშობლოში დაბრუნებასა და ჩემი საქმის გამოძიებაში დახმარებას.

10 წელია, ჩემი სამი მცირეწლოვანი ბავშვი ახალ წელს ჩემ გარეშე ხვდება. სააკაშვილის რეჟიმმა ეს ბავშვები დააობლა და წაართვა მათ მამასთან ურთიერთობის ბედნიერება.

საბედნიეროდ, ვერ ჩამსვეს საპყრობილეში და ჩემი ფიზიკური ლიკვიდაციაც ვერ მოახერხეს, რასაც ერთხელ დამპირდნენ. სამაგიეროდ, ჩემს მეუღლეს 2005 წელს შეუვარდნენ რეანიმაციაში და უდიდესი ტრავმა მიაყენეს როგორც დედას, ისევე რამდენიმე დღის ნიკოლოზს.

2005 წლის 9 დეკემბრიდან მე ძებნაში გამომაცხადეს და ერთი წლის განმავლობაში ღამით და დილაუთენია უვარდებოდნენ სახლში ჩემს ოჯახს.

ჩემი ძებნის მიზნით აწიოკებდნენ მათ, სპეციალურად ყვიროდნენ და ნივთებს ატრიალებდნენ, რომ ბავშვებს სამუდამოდ დარჩენოდათ შიშის გრძნობა. გამუდმებით უკავშირდებოდნენ ტელეფონით ჩემს მეუღლეს. ემუქრებოდნენ და სთხოვდნენ, გაეცხადებინა ჩემი ადგილსამყოფელი. 3 თვის განმავლობაში მას უთვალთვალებდნენ ქუჩაში. 100.000 გირაოს მთხოვდნენ სპეციალურად, რომ ციხეში ჩემი ჩასმა უზრუნველეყოთ.

ბევრს ამ ეტაპზე ვერ მოვყვები. ძალადობრივად 10 წლის განმავლობაში ჩამომაშორეს ჩემს საქმეს, ესეც არ იკმარეს და 2007 წელს ჩემი მეუღლე ნინო კიტია თეატრიდან დაითხოვეს. ჩემი მეუღლე უმუშევარი დატოვეს. ამით მათ სამი მცირეწლოვანი ბავშვი ულუკმაპუროდ დატოვეს, ფაქტიურად, გაწირეს ჩემი ოჯახი.

ბატონო ირაკლი, გთხოვთ დახმარებას. პატივისცემით, თამაზ ვაშაკიძე.

# ნეკა სებისკვერაძე ახალ მუსიკალურ პროექტზე მუშაობს



მომღერალი ნეკა სებისკვერაძე ახალ მუსიკალურ პროექტზე მუშაობს. მომღერალმა ინფორმაცია ამის შესახებ თავად გაავრცელა.

**ნეკა სებისკვერაძე:**

– მათ, ვისაც აინტერესებს, რა ხდება ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში, ვეტყვი, რომ მუშაობა დავიწყე ახალ მუსიკალურ პროექტზე „მსოფლიო იავნანები“. დიდი ხანია, ამ თემით დაინტერესებული ვარ და უამრავი აღმოჩენა გავაკეთე.

იავნანა, როგორც პოეტური ფოლკლორის ერთ-ერთი სახე, დიდი მნიშვნელობისაა როგორც ჩვენს, ასევე ყოველი ერის ფოლკლორში. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტრადიციულ იავნანებს, როგორც საწესო ლექსთა სიმღერას. ძიების პროცესში უსაზღვროდ დიდი და საინტერესო მასალა დაგროვდა. სულ მალე ეტაპობრივად ყოველივეს თქვენამდეც მოვიტან.

პირველი იავნანა, ივრითულენოვანი, უკვე ჩაიწერა და დამუშავების პროცესშია. ცხადია, პირველი არ ვიქნები, ვინც ამ თემას შეეხო. მე მსურს, ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო სიმღერის ამ ფენომენის მიმართ, რომელთანაც შეხება ყოველ საღამოს მიწევს ჩემი ორი შვილის წყალობით.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 2. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 3. ქვის ხავსი; 5. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 10. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 12. საქართველოს ეროვნული გმირი; 14. აეროპორტი კაიროში; 15. ტროპიკული პალმის ნაყოფი, ინდისხურმა; 16. პერიოდულ-ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა.

**თარაზულად**: 1. ისტორიული ქართული სამთავრო შავი ზღვის სანაპიროზე; 4. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სამი ოსკარის ლაურეატი; 9. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 11. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 12. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 17. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 18. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 19. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ძველბერძენი მათემატიკოსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# TV პროგრამა

## პარასკევი 27 ნოემბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**ოცნების მოედანი**" (კ.კოსტნერი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01, 22.00** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი** **23.30** "კომუნიკატორი" **00.40** მხ/ფ "**ჰანიბალი**" (ე.ჰოპკინსი)

**08.00, 10.10, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00** სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** პოლიტიკა **23.30** სერ. "**ჟუმონგი**" **01.10** მხ/ფ "**რა იქნებოდა**" (პ.ნიკოლსი) **02.55** მხ/ფ "**კეთილშობილი ვენეციელი**" (კ. მორი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.00, 03.30** მხ/ფ.**03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** სალბუნი-რეანიმაცია **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** მსოფლიო ხალხთა ზღაპრები "ლეგენდა ღვინოზე" **15.40** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი **17.00** ყველაფერი ქორეოგრაფიაზე-"თენგიზ ყურაშვილი" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო "ზიარების საიდუმლო" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-"თეატრალები" **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა "ყურშა გაყოყოჩდა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ადიში" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო "ზიარების საიდუმლო" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "მეტეხის ტაძარი" **00.35** დ/ფ "აკაკი" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05** **სერიალი "ტატიანა"** **17.05** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** **სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** **სერიალი "ბანდიტების დედოფალი"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** **სერიალი "ბელადის ვაჟი"** **1.30** **სერიალი "ტატიანა"** **2.15** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 ნოემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3957 |
| ევრო | 2.5399 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.6096 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6453 |

## ამინდის პროგნოზი 27 ნოემბრისთვის





## მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

მაია ბურჭულაძე

# აბუსერიძეების საგა

ქართული დეტექტივის მე-12 ტომი






# ახალი ქართული ნატურალური ჯემები თქვენი ოჯახისთვის

„ევროკაპიტალინვესტისგან“

სიცოცხლის ელექსირი

არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ნივთიერებებს, კონსერვანტებს, საღებავებს

100%-ით ნატურალური



დამზადებულია საქართველოში

შპს „ევროკაპიტალინვესტი“, საქართველო, 6000 ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №100
ტელ: +995-422-24-71-89; e-meil: infoeci777@gmail.com


# კრიშტიანო რონალდუ: „ალექს ფერგიუსონი ჩემს კარიერაში საუკეთესო მწვრთნელია“




**პორტუგალიელი ფეხბურთელი კრიშტიანო რონალდუ ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც მთელი საფეხბურთო სამყარო დიდ პატივს სცემს, საკლუბო დონეზეც წარმატებებს აღწევს, მაგრამ სანაკრებო დონეზე ჯერ ვერაფერი მოიგო.**

**კრიშტიანოსთან ინტერვიუ ბრიტანულ მედიაში გამოქვეყნდა.**

*– სერ ალექს ფერგიუსონის აქცენტის შესახებ ბევრს საუბრობენ.*

– მე ახლაც არ მესმის მისი ლაპარაკის ნახევარი. თავიდან ბრაზილიელი მთარგმნელი მყავდა, რომელსაც მხოლოდ სერ ალექსთან ურთიერთობისას ვიყენებდი. სხვების ძალიან კარგად მესმოდა.

*– ფერგიუსონი რჩევებს ხშირად გაძლევდათ?*

– ხშირად მარიგებდა ჭკუას როგორც ფეხბურთელს და ასევე, როგორც ადამიანს. ერთი ეპიზოდი მახსენდება: მამაჩემი ავად იყო და საავადმყოფოში იწვა. ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გვქონდა ჩემპიონთა ლიგაზე და ყველას ჩემი იმედი ჰქონდა. მივედი და ვუთხარი, მწვრთნელო, უნდა გამიშვა, მამა უნდა ვნახო-მეთქი. მან მითხრა – იცოდე, რომ შენი პირადი ცხოვრება და ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ცხოვრებაში. გინდა, სამი დღით წადი, გინდა, მეტითო.

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი და სერ ალექსმა გამიგო. ამიტომაც მას ყოველთვის ვაფასებდი და დავაფასებ. ის ჩემს კარიერაში საუკეთესო მწვრთნელია.

***– მამათქვენი 2005 წელს ალკოჰოლიზმით გარდაიცვალა.***

– არ ვწუწუნებ, ცხოვრება ასეთია. ჩემს ფილმშიც ვამბობ, რომ უკეთეს მამას ვისურვებდი ცხოვრებაში, მაგრამ, რაც იყო, იყო. მე პატივი უნდა ვცე იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მან მიიღო ცხოვრებაში.

ამ ფაქტმა ბევრი რამ მასწავლა. მამაზე ხშირად ვფიქრობ. ის ჩემს მეხსიერებაში მუდამ დარჩება და, როცა მასზე


**გაგრძელება მე-9 გვერდზე**


## იუმორი

განცხადება:

„ვეძებ ქმარს! მწეველს, მსმელს, ქალების მოყვარულს! მიმაჩნია, რომ მეუღლეებს საერთო ინტერესები უნდა ჰქონდეთ!“

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, პოლიციაა?

– დიახ, გისმენთ, მოხდა რამე?

– იცით რა, მოწყენილი ვარ.

– მართლა, თუ გინდათ, თქვენს ბინაში ჰეროინს დავმალავთ და მერე ერთად მოვძებნოთ. კარგად გავერთობით.

– ???

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბავშვობაში გოგონებისთვის ნაწნავის მოქაჩვა მიყვარდა. შენ?

– მე არა.

– რატომ?

– ერთხელ სოფელში ცხენს კუდზე მოვქაჩე და...

●●●

ქალიშვილი დედას ეკითხება:

– დედა, შენ რომელი უფრო მოგწონს, პეპელა თუ ძაღლი?

– არავითარი სვირინგი!

– კარგი რა, დედა, ყველაზე შეუმჩნეველ ადგილზე გავიკეთებ!

– ტვინზე?! – გამოსძახა ძმამ.

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს საბუთების შემოწმების შემდეგ ეკითხება:

– თვალები რატომ გაქვთ ჩაწითლებული? დასვენების დღეებში უნდა დაისვენოთ.

– დავისვენე, მეგობრებთან ერთად საუნაში ვიყავი.

– აჰა, ქალებთან ერთად, არა?

– არა, მხოლოდ მეგობრები ვიყავით, კაცები.

– ანუ ლუდი, არაყი, ჰო?

– არა, არაფერი დაგვილევია.

– აბა ერთი ამოისუნთქე, ალკოჰოლზე შეგამოწმოთ.

შეამოწმეს, სრულიად ფხიზელია.

– ჰოო, ცუდად ისვენებთ, ცუდად!

●●●

ღამეა, ბნელა. ქალი მიდის გზაზე. მარცხნივ მშენებლობის ღობეა, მარჯვნივ – სიცარიელე. უცბად უკნიდან ხმა ესმის:

– გაჩერდი!

ქალი გაჩერდა.

– წაიკუზე?

ქალი წაიკუზა და თან კითხულობს:

– კოლგოტი გავიხადო?

– რა ჯანდაბად მინდა შენი კოლგოტი, ღობეზე უნდა გადავძვრე!

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– ამას წინათ მეუღლესთან ვაღიარე, სათევზაოდ რომ იყო წასული, ვუღალატე.

– მერე?

– ერთი კვირა ვერ ვხედავდი.

– ???

– მერე თვალი დამიცხრა და დავინახე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## საახალწლო აქცია კერძო სახლების მშენებლობაზე

დეველოპერული სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“ 1მ²-300$ ~~350$~~

(სრული თეთრი კარკასი) + ცენტრალური გათბობა საჩუქრად

**პრიორიტეტები, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესი“:**

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის სადაზღვევო გარანტია.



დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business